# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 25 იანვარი 2000 №11 (1033) | ფასი 50 თეთრი

**2** დინამომ მოსკოვი გააოცა

ვისთან აგებთ, თბილისელებო?

**3** ქინქლაძე ძველ დიდებას იბრუნებს

სანმა ცხრიანით, მირორმა კი რვიანით შეაფასეს ქართველის ერთი ტაიმი

**8** კამაჩოს რეალი დაეჯახა

ან მამუშავეთ, ან გამიშვით — ცხარობს ესპანელთა მწვრთნელი

**11** ელენა, სერენა, სენსაცია!



რუსმა ლიხოვცევამ უმცროს უილიამსს სიზარმაცე მწარედ ანანა

**13** სტეფანიასთვის 2000 დაიწყო:

თერთმეტი ქულა, ექვსი მოხსნა, ორ-ორი ჩაჭრა და დაფარება

# სამგზის რივალდო!

ჟურნალისტები: რივალდო ევროპაში საუკეთესოა! „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვა.

გულშემატკივრები: რივალდო მსოფლიოში საუკეთესოა! „უორლდ სოკერის“ გამოკითხვა.

ეს უკვე იყო, 1999-ის მიწურულს...

გუშინ კი რივალდოს რჩეულობა ფიფას მიერ მოწყობილმა რეფერენდუმმაც დაადასტურა: 140 ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა აზრის შეჯერებამაც 1999 წელს მსოფლიოში საუკეთესოობა ისევ რივალდოს არგუნა, ფეხბურთელს, რომელმაც ბრაზილიის ნაკრებს „კოპა ამერიკა“, „ბარსელონას“ კი ესპანეთის ჩემპიონობა მოაგებინა.

მეორე ადგილზე დევიდ ბექემი გავიდა, მესამეზე — გაბრიელ ბატისტუტა.

ბრაზილიამ ნაკრებითაც ივარგა — ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში პირველობის რახანია არდამთმობი გუნდი ამჯერადაც უძლიერესად აღიარეს.

წლის აღმოჩენად კი დასახელდა სლოვენია — ევრო 2000-ის მეორე შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქე, რომელმაც ბენილუქსის საგზურიც მოიპოვა და ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში სენსაციური ნახტომით მიიპყრო ყურადღება.



რივალდო

# ქართულ კლუბებს მევალეები დასდევენ

- მაკაბიმ ჩემპიონს ვიცეჩემპიონიც მიაყოლა
- გორმა მატჩი სამი კალათბურთელით დაასრულა
- სსუ-მ პირველად მოიგო
- სოხუმელმა გუგა ბერიშვილმა 46 ქულით ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა

გურამ ცოლიკაშვილის ფოტო



სდასუ — სტუ 67:69. მატჩის დაძაბულობაზე სტუ-ელი ზურაბ ჩუბინიძის (№15) და შოთა მაჭარაძის ორთაბრძოლაც მეტყველებს

საქართველოს ჩემპიონატი — 14 ტური

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მე-14 ტურის გამორჩეული ამბები მეორე პლანზე გადაანაცვლა კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის გუშინდელმა გადაწყვეტილებამ. სხდომაზე უკანასკნელად გააფრთხილეს ფედერაციის მოვალე გუნდები. თუკი ისინი პარასკევამდე, 27 იანვრამდე ვალს არ გაისტუმრებენ, შაბათ-კვირას გასამართ მე-15 ტურის მატჩებში ჩაეთვლებათ წაგება და 0 ქულა დაეწერებათ. თუ რომელიმე გუნდი მომდევნო, მე-16 ტურამდეც ვერ დაფარავს ვალს, გათამაშებიდან მოიხსნება. ფედერაციის ცნობით, კლუბებს გადასახდელი აქვთ: ჯიოტს — 9 000 ლარი, ვითას — 4 160, გორს — 3 960, ასკ-ს — 3 350, დინამოს — 3 100, სსუ-ს — 1 580, მაკაბის — 1 255, სდასუ-ს — 710.

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მეთოთხმეტე ტურის მიმოხილვა იხილეთ მეთორმეტე-მეცამეტე გვერდებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვში ფული რიგდება, გერმანიაში — ფორმა

დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია მოსკოვს მიემგზავრებიან, სადაც ესენგეს წევრ საფეხბურთო ფედერაციათა წარმომადგენლებთან ერთად ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს შეხვდებიან.

ბლატერის რუსეთში ვიზიტის მიზანი ერთადერთია. მოგეხსენებათ, ამას წინათ ფიფამ ყველა მისი წევრი ფედერაციის ფინანსური დახმარება გადაწყვიტა და საამისოდ პროგრამა „გოლი" შეიმუშავა, რომლის ერთი ოფისიც მოსკოვში იქნება და ყოფილ მოკავშირე ქვეყნებს მოემსახურება. ბლატერი კი ჩვენი ფედერაციის ჩინოსნებს თანხის იმ რაოდენობას დაუსახელებს, რაც ქართველებს ერგებათ, სავარაუდოდ 100-150 ათასი დოლარი.

როგორც ვალერი ჩოლარიამ გვითხრა, ეს ფული ფიფადან მისაღებ კიდევ მილიონ დოლარს დაემატება, ოთხი წლის განმავლობაში რომ გადმოერიცხება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და ეროვნული ნაკრებისთვის საწვრთნელი ბაზის, ფედერაციის ახალი ოფისის აშენებასა და ნაკრებისთვისვე „მერსედესის" ფირმის ავტობუსის ყიდვის მოხმარდება. სხვათა შორის, ფედერაციას თავისთვის „მერსედესის" მიკროავტობუსი უკვე შეუძენია და ოფისის ასაშენებელი ადგილიც შეურჩევია ვერის პარკში, ჭადრაკის სასახლის გვერდით. იამანიძის 5-ში მდებარე შენობას კი, სასტუმროდ გადაკეთებას უპირებენ.

ბლატერთან შეხვედრის შემდეგ, 27 იანვარს, ჟორდანია და ჩოლარია გერმანიის ქალაქ ლაიპციგს გაფრინდებიან და გერმანიის საფეხბურთო კავშირის 100 წლისთვისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალს დაესწრებიან.

31-ში პრეზიდენტი და გენერალური მდივანი ქართველთა ძველ ნაცნობ შვეიცარიულ ფირმა „ტელესპორტის" ხელმძღვანელობას სატელევიზიო უფლებების თაობაზე დაესაუბრებიან. იქნებ სხვაზეც.

1 თებერვალს ჩვენებურთ კიდევ ერთი შეხვედრა აქვთ დაგეგმილი, მათ გერმანიაში იტალიური ფირმა „ლოტოს" წარმომადგენლები ჩააკითხავენ. ტოკიოში მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების კენჭისყრის შემდეგ ჩვენებურებმა, სწორედ „ლოტოსთან" თანამშრომლობა ისურვეს და მათვე შესთავაზეს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ტექნიკური სპონსორობა. დღესდღეობით ფედერაციასა და „ლოტოს" მიმოწერა ფაქსით ჰქონდათ, თითქმის ყველაფერზეც შეთანხმდნენ და რამე თუ არ მოხდა, ახლა კონტრაქტიც გაფორმდება. ჩოლარიას თქმით, გასარკვევი ორად ორი, არც ისე მნიშვნელოვანი საკითხია დარჩენილი. იტალიელები ყაბულს არიან, საქართველოხ ნაკრების წევრებს, თუ ისინი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდებიან, სოლიდური პრემიალურებიც გადაუხადონ. სავარაუდოა, რომ კონტრაქტი სამწლიანი იქნება. სიტყვამ მოიტანა და ძველ ფედერაციას თურმე ფირმა „ადიდასთან" არანაირი ხელშეკრულება არ ჰქონდა, მათ ფირმა „ვოსი" ამარაგებდა „ადიდასის" ტანისამოსით.

და ერთიც, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეროვნულ სტადიონზე განათების საკითხი აგვისტომდე მოწესრიგდება. ფეხბურთის ფედერაციას საამისო გარანტია თბილისის მერიიდან მიუღია.

**კობა ინასარიძე**



ოთარ კორღალიძე: მოგება-წაგება შარშანდელი წარუმატებლობის შემდეგ

# დინამომ მოსკოვი გააოცა

## ვისთან აგებთ, თბილისელებო?!

22 იანვარს მოსკოვში თანამეგობრობის ქვეყნების თასის რიგით მერვე გათამაშება დაიწყო. პირველი დღე ქართველებისთვის ერთობ წარმატებული გამოდგა. მართალია, ირაკლი ზოიძის „ჟალგირისი" გახსნით მატჩში დამარცხდა ჩვენთვის კარგად ნაცნობ „ზიმბრუსთან" (1:2), მაგრამ მომდევნო შეხვედრაში „სკონტომ" გაილაღა „შირაქთან". პირველი ორი გოლი რეხვიაშვილმა და ჩალაძემ გაიტანეს, მენთეშაშვილს მეორე ნახევარში ლევან კორღალიძე შეუნაცვლა სტარკოვმა და ლატვიელებმაც უპრობლემოდ გაიმარჯვეს — 3:1. ამ მატჩის პარალელურად დაიწყო თბილისის „დინამოს" და ბიშკეკის „ცაგ-დინამოს" მატჩი სპორტკომპლექს „სპარტაკში". მოსკოველი ქართველები (ისინი მრავლად დასწრებიან ამ მატჩს), სიხარულით შეხვდნენ ქართული „დინამოს" გამარჯვებას. ყირგიზები პირველ ტაიმშივე დანებდნენ მეტოქეს. ერთადერთი, რაც ბიშკეკელებმა შეძლეს ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება იყო, თუმც შემდეგ წიტაიშვილის გოლმა მეტოქეს ბრძოლის ჟინი დაუკარგა, ნემსაძემ კი ბოლო წუთებზე შორეული, მოხდენილი დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. იმავე დღეს ჩვენმა ჯგუფელმა „ვარზობამ" და „ირტიშ-ბასტაუმ" ერთმანეთში ფრედ (2:2) ითამაშეს და პირველი ტურის შემდეგ „დინამო" დაწინაურდა.

ტურნირის მეორე დღე კარგად დაიწყო ქართველთათვის. „ჟალგირისმა" „ქიაფაზს" სძლია 2:0, მაგრამ ამ შეხვედრაში ზოიძეს არ უთამაშია, „სკონტომ" კი პირველმა გაინაღდა ბატე-ს ძლევით (3:1) ნახევარფინალში მონაწილეობა. შემდეგ კი პირველი სენსაციის ჯერიც დადგა — მოსკოვს რიხით წასული ქართველები დამარცხდნენ... დუშანბეს „ვარზობთან"...მზიური საქართველოს წარგზავნილები გვარიანად შეარცხვინეს ტაჯიკებმა. რატი ალექსიძის გოლს არ შეუშინდა „ვარზობი" და პირველი ნახევრის შემდეგ გამარჯვებულმა დატოვა „სპარტაკის" მანეჟი. მეორე ტაიმში ოთარ კორღალიძემ სიჭინავა წიტაიშვილით, ხოლო სახვაძე-ქემოკლიძით შეცვალა. ამან შედეგიც გამოიღო — ანჩაბაძემ 54-ე წუთზე წინასწორობა აღადგინა, მაგრამ ეს იყო და ეს. ტაჯიკებმა ისევ ხელთ იგდეს უპირატესობა და ხამიდოვმა ორი ბურთით დააწინაურა თავისიანები. ამას წიტაიშვილმა და ნაზაროვმა თითო — თითოც დაუმატეს და „დინამო" 3:5-ით დამარცხდა. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ წყალი შეუდგა ოთარ კორღალიძის სიტყვებს. დსთ-ს თასზე „დინამო" რჩეულთა შორის აღზევდებაო — თქვა მოსკოვს გამგზავრების წინ თბილისელთა თავკაცმა. „ირტიშ-ბასტაუმ" უსუსურ „ცაგ-დინამოს" ადვილად სძლია 6:1 და ბურთების უკეთესი სხვაობით პირველ ადგილზე აინაცვლა. ქართული „დინამო" კი ჯერაც ინარჩუნებს ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შანსს, მაგრამ ერთობ მიზერულია, რადგან ძნელი წარმოსადგენია, „ვარზობმა" უსუსურ „ცაგთან" ქულები დაკარგოს, ასეთ შემთხვევაში კი „დინამოს" „ირტიშთან" გამარჯვების შემთხვევაშიც მოესპობა რჩეულთა შორის (A და B ჯგუფი) მოხვედრის შესაძლებლობა.

დსთ-ს თასის გათამაშებაზე ბევრი მწვრთნელი და სელექციონერია ჩარეული. ფეხბურთელთა შერჩევის მხრივ, მსგავსი ტურნირები ხომ მისწრებაა და მუშაობს ხალხი. მათი ყურადღება ქართველებსაც არ ჰკლებიათ. ზოგიერთ ჩვენებურს უკვე პირველი მატჩის შემდეგ გასაუბრებიან ტკბილად უცხოელი სელექციონერები, ჰოდა, როგორც ჩანს, დინამოელები იმდენად აღელდნენ პერსპექტიული წინადადებით, რომ მომდევნო მატჩი სამარცხვინოდ წააგეს...

რას იზამ, ტაჯიკეთის ჩემპიონსაც ჩემპიონი ჰქვია და აბა, რა გასაკვირია, ერთმა ჩემპიონმა მეორეს სძლიოს, მაგრამ...

**პაატა კვანტალიანი**

**B ჯგუფი**

**დინამო 5:2 ცაგ-დინამო**

1:0 ალექსიძე (23), 2:0 ქებაძე (40), 3:0 ალექსიძე (48), 3:1 სალო (50), 3:2 ივანოვი (54), 4:2 წიტაიშვილი (67), 5:2 ნემსაძე (88)

**დინამო:** ჩიხრაძე, ხიზანეიშვილი (რუხაძე 52), სიჭინავა (ვაშაკიძე 78), დიდავა, შაშიაშვილი, სახვაძე, ნემსაძე, ალექსიძე (შენგელია 82), დათუაძე (ჯინჭარაძე 78), ანჩაბაძე (ქემოკლიძე 82), ქებაძე (წიტაიშვილი 52)

**გაფრთხილება:** სახვაძე (88)

**მსაჯი:** ანტონოვი (მოლდოვა)

**დინამო 3:5 ვარზობი**

1:0 ალექსიძე (14), 1:1 ნაზაროვი (32), 1:2 აშურმამადოვი (44), 2:2 ანჩაბაძე (54), 2:3, 2:4 ხამიდოვი (62პ, 68), 3:4 წიტაიშვილი (77), 3:5 ნაზაროვი (79)

**დინამო:** ჩიხრაძე, ხიზანეიშვილი, სიჭინავა (წიტაიშვილი 46), დიდავა, შაშიაშვილი (შენგელია 69), სახვაძე (ქემოკლიძე 46), ნემსაძე, ალექსიძე, დათუაძე, ანჩაბაძე, ქებაძე

**გაფრთხილება:** ზარდოვი (51), ჩიხრაძე (62), ზუბაიდოვი (90)

**მსაჯი:** ხუდიევი (აზერბაიჯანი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირტიში ბასტაუ | 2 | 1 | 1 | 0 | 8:3 | 4 |
| ვარზობი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:5 | 4 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 8:7 | 3 |
| ცაგ დინამო | 2 | 0 | 0 | 2 | 3:11 | 0 |

# ვინძლო ხვალვე ან ათ დღეში:

## ალექსიძე ჩელსელია!

რატი ალექსიძის ინგლისურ „ჩელსში" გადასვლის ამბავი შესაძლოა ამ საღამოს გადაწყდეს.

საქმე ისაა, რომ „ჩელსიმ" ყოფილი ფეხბურთელებისგან შემდგარ სამკაციან საბჭოს დაუსაბუთა ჩვენებური ფეხბურთელის საჭიროება და მათ ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტთან შუამდგომლობა თხოვა. მოგეხსენებათ, ადრე სწორედ ეს დეპარტამენტი აცხადებდა, ალექსიძეს ეროვნულ ნაკრებში მატჩების 75 პროცენტი არ ჩაუტარებია და ინგლისში მუშაობის უფლებასაც ამიტომ ვერ მივცემთო. თუმცაღა გაზეთი „მირორი" წერდა — თუ „ჩელსი" ვეტერან ფეხბურთელთა სამკაციან საბჭოს დაუმტკიცებს რომ ალექსიძე ინგლისურ ფეხბურთში ადგილს იმსახურებს, დასაქმების დეპარტამენტს საწინააღმდეგო აღარაფერი ექნებაო. „ჩელსიმ" ეს შეძლო და ახლა საბოლოო სიტყვა ბრიტანელ ბიუროკრატებზეა. წუხელ, მოსკოვში მყოფმა რატი ალექსიძემ თავად გვითხრა — კლუბიდან დამირეკეს და მითხრეს, საბჭოს წევრებს საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, ალბათ არც დასაქმების დეპარტამენტში შეგვექმნება პრობლემებიო. რატისვე თქმით, საქმე დღეს თუ არა უახლოეს ათ დღეში ნაღდად გაირკვევა. ვნახოთ, ვინძლო ხვალვე გაუწყოთ — ალექსიძე ჩელსელია!

**კობა ინასარიძე**

# ოჰო, ოფოში პლუს სამით!

## ტორპედოს თავკაცმა გული არავის დაწყვიტა

ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელი ქუთაისის „ტორპედო", მოგეხსენებათ, ზამთრის არდადეგების შემდეგ 5 იანვარს შეიკრიბა სალორიის ბაზაზე და მეორე დღესვე ინტენსიურ წვრთნას შეუდგა. ეროვნული ჩემპიონატის სამეორეტაპო სამზადისის პირველი, საშინაო ციკლი 17-დღიანი გახლდათ. ეს პერიოდი ტორპედოელებმა ფიზიკური კონდიციების აღსადგენად გამოიყენეს, ერთჯერადი ვარჯიშებით დაიწყეს და ორჯერადით დაამთავრეს.

დიახ, ერთი ციკლი მორჩა და... ახლის ჯერიც დადგა. გუშინ ქუთაისური გუნდი საკუთარი „დაფის" მარკის ავტობუსით ათდღიან შეკრებაზე გაემგზავრა სამხრეთ თურქეთში, ხმელთაშუაზღვისპირა საკურორტო ქალაქ ანთალიაში და ამ საღამოს ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ოფო"-ში დაიდებს ბინას.

ტორპედოელთა „თურქულ" გეგმებზე შაბათსაც გაუწყეთ, მაგრამ, ვფიქრობთ, არაფერი დაშავდება თუ ერთხელაც შეგახსენებთ, რომ ქუთაისელებს ანთალიაში ათ დღეში ერთბაშად ოთხი ამხანაგური მატჩი აქვთ დაგეგმილი. „ტორპედო" საწვრთნელ თამაშებს სამ რუსულ კლუბთან მოსკოვის „ტორპედოსთან", იაროსლავლის „შინიკთან" და ნოვოტროიცკის „ნოსტასთან" გამართავს, ხოლო ჩვენებურთა მეოთხე მეტოქე თურქეთის მეორელიგელი „ქემესფორი" იქნება.

4 თებერვალს „ტორპედო" თურქეთიდან ბულგარეთს გაემგზავრება და, უკვე შავიზღვისპირა, ცნობილ კურორტ ალბენაში რვაგუნდა საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ქუთაისელთა სავარაუდო მეტოქეებიდან ჯერჯერობით ორს თუ დავასახელებთ. წინასწარი ცნობებით, ტორპედოელებთან ერთად იქ ბულგარული „ლევსკი" და იუგოსლავური „ცრვენა ზვეზდა" ითამაშებენ. დანარჩენ მონაწილეთა ვინაობა უახლოეს დღეებში გაირკვევა. ალბენას ტურნირი 13 თებერვლამდე გასტანს, „ტორპედო" კი შინ 17 თებერვალს აპირებს დაბრუნებას.

სამი დღის წინ მკითხველს თურქულ-ბულგარულ ვოიაჟში მონაწილე ტორპედოელთა სავარაუდო სიაც გავაცანით, მხოლოდ სავარაუდო, რადგანაც ზოგი რამ დასაზუსტებელი იყო. ჰოდა, დაზუსტდა. ტორპედოელთა თავკაცმა დავით ყიფიანმა 23 მოთამაშის ნაცვლად 26 შეიყვანა სიაში და, სხვათა შორის, არც კლუბის ვიდეოოპერატორს დაწყვიტა გული.

ასე რომ, უცხოურ ტურნეში დავით ყიფიანის განკარგულებაში სულ 26 ფეხბურთელი იქნება. ერთხელაც ჩამოვთვალოთ:

*მეკარეები:* *გია ჭანტურია, გიორგი სომხიშვილი, ზვიად სტურუა.*

*მცველები:* *ალეკო შეყრილაძე, ბადრი ახვლედიანი, ვახტანგ თურმანიძე, ვახტანგ ხვადაგიანი, ალექსანდრე ამისულაშვილი, ირაკლი მაღლაკელიძე, მიხეილ მახვილაძე, გოდერძი გოგოლაძე, ჯაბა თავბერიძე.*

*ნახევარმცველები, თავდამსხმელები:* *კახა კვეტენაძე, კახა ჩხეტიანი, გიორგი გოგიაშვილი, ზაზა ვაჩიბერაძე, მალხაზ ასათიანი, კახა ვადაჭკორია, ზურაბ იონანიძე, გიორგი მეგრელაძე, დავით ჯანაშია, გრიგოლ იმედაძე, მიხეილ ბობოხიძე, რევაზ კვერნაძე, შოთა ბაბუნაშვილი, გიორგი ქადაგიძე.*

ადრეც ვწერდით, ეროვნულ ნაკრებში მივლინებული ვახტანგ ხვადაგიანი და ზურაბ იონანიძე კვიპროსის ტურნირის შემდეგ ბულგარეთში შეუერთდებიან „ტორპედოს".

სიაში ბოლო 18 წლის გიორგი ქადაგიძის შესახებ იმას გეტყვით, რომ ის „ნორჩი დინამოელის" აღზრდილი, ერთ-ერთი „კოპალას ბიჭთაგანია". გიორგი „ტორპედოში" ჯერ მხოლოდ გასინჯვაზეა და მისი გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხი „ტორპედოს" ქუთაისში დაბრუნების შემდეგ გადაწყდება.

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

# ქინქლაძე ძველ დიდებას იბრუნებს

## სანმა ცხრიანით, მირორმა კი რვიანით შეაფასეს ქართველის ერთი ტაიმი

დიდ ბრიტანეთში დაბრუნების შემდეგ, შაბათს, გიორგი ქინქლაძემ კვლავ ძველებურად აახმაურა ინგლისური გაზეთები. „სანმა" ცხრიანით, „მირორმა" კი რვიანით შეაფასეს ქართველის ერთი ტაიმი „პრაიდ პარკზე" „ქოვენთრის" წინააღმდეგ.

ელიოტის ნაცვლად შემოსულმა ქინქლაძემ ინგლისში დაბუნების შემდეგ საუკეთესო მატჩი ჩაატარა — ასეთია მედიის აზრი. ბულვარული „სანი" უფრო შორს წავიდა და მატჩის საუკეთესო მოთამაშის ტიტულთან ერთად ქინქის სოლიდური კომპლიმენტიც უძღვნა — DREAM TEAM STAR MAN („ოცნების გუნდის ვარსკვლავი").

„დერბის" მენეჯერმა ჯიმ სმიტმა, როგორც ჩანს, მართლაც იცის თავისი საქმე. იგი ეტაპობრივად აჩვევს მოუმზადებელ ქართველს პრემიერლიგის რიტმს და შედეგითაც კმაყოფილია.

„გიორგიმ ქოვენთრისთან გააკეთა ის, რასაც ვარჯიშზე ყოველდღე გვიკეთებს. იგი ბურთს თუ იღებს, ისეთი ფინტების არსენალი აქვს, მისი შეჩერება შეუძლებელია. დღეს მან მხოლოდ 45 წუთი ითამაშა, მაგრამ თავადაც ნახეთ, რა დამართა მეურვეს. ვფიქრობ, ქართველი ნელ-ნელა იბრუნებს ფორმას და 5 თებერვალს „შეფილდთან" ალბათ ძირითადში ვათამაშებ" — თქვა სმიტმა.

სმიტი კმაყოფილია იმით, რომ ქართველმა გაუმართლა. მან „პატკადების" კეთებაც დაიწყო და ბურთისთვისაც ხშირად იბრძვის. რაც მთავარია, მოუმატა ფიზიკურად „აიაქსიდან" მოსვლის შემდეგ წონის დაკლებაზე ვმუშაობდით, ახლა ისე დაიკლო, რომ მისი კუნთების მდგომარეობა მაშფოთებს, ამიტომ კვლავაც მოძლიერებაზე უნდა ვავარჯიშო" — აღნიშნა სმიტმა.

ქინქლაძეს რამდენიმე მომენტი ჰქონდა „ქოვენთრისთან", მათ შორის ორი ასპროცენტიანიც, თუმცა მათი გამოუყენებლობით სმიტი უკმაყოფილო სულაც არ ჩანდა. „სანთან" საუბარში კი სულაც...

„გიორგი ძალიან კარგი პიროვნება და ფეხბურთელია, თუ „დერბისთვის" იგი იმას გააკეთებს, რაც „მანჩესტერ სიტის" გაუკეთა, მაშინ აუცილებლად ვიყიდით" — აღნიშნა მან. ამის გამგონე „სანის" რეპორტიორმა გაკვირვებულმა იკითხა: „კი მაგრამ, მაშინ, „სიტი" ჯერ პირველში, შემდეგ კი მეორე დივიზიონში არ გავარდა? თქვენც ეს გინდათ?"

სმიტმა ვითარება ღიმილით და ხუმრობით განმუხტა: „მართალია, ამაში მაშინ არ გაუმართლა. ისე, თქვენ მართალი ხართ. როგორც „სიტიში" იქცეოდა, „დერბიშიც" ისევე იქცევა. მარტო თამაშობს, პასებს არ არიგებს, დაცვაში არ ჩამოდის და თუ ასე გააგრძელა, შემადგენლობაში საერთოდ არ დავაყენებ".

უფრო სერიოზულად კი სმიტმა ქინქლაძეს შესანიშნავი პიროვნება უწოდა, რომელიც საერთო ენას ყველასთან ნახულობს (ის მალე ჩვენი ტუზი გახდებაო). გიორგი 25 იანვარს „მიდლსბროს" დუბლების წინააღმდეგ ითამაშებს. ეროვნულ ნაკრებში კი, როგორც ადრეც გაუწყეთ, ალბათ ვერ ჩამოვა. სმიტი ქინქლაძე „შეფილდისთვის" ამზადებს.

**სიმონ მენაბდე**


SKY SPORT
გიორგი ქინქლაძეს „ლიდსის" ნორვეგიელი მორტენ ბაკე ეუხეშება


მამუკა დარჩიას ფოტო
გიორგი დავითნიძე (მარცხნივ) და გიორგი მეგრელაძე

# აბრამიძე დავითნიძემ შეცვალა

ფოთის „კოლხეთი 1913"-ის ფეხბურთელი გიორგი დავითნიძე რამდენიმე დღის წინ მოსკოვში გაემგზავრა. იგი „ტორპედოს" მთავარმა მწვრთნელმა ვიტალი შევჩენკომ გასასინჯად მიიწვია.

ცოტა ხნის წინ მოსკოვის „ტორპედოში" გასინჯვაზე თბილისის „დინამოს" ახალგაზრდა მცველი ვალერი აბრამიძეც იმყოფებოდა. იგი მოსკოვური კლუბის ხელმძღვანელობამ კვიპროსში გამართულ ორკვირიან შეკრებაზეც წაიყვანა და სამ სამწვრთნელ-საკონტროლო მატჩშიც ათამაშა, თუმცა ჩვენებურმა შევჩენკოს თავი ვერ მოაწონა და უკან გამობრუნებაც მოუხდა. აბრამიძის ბედი კიდევ რამდენიმე მოთამაშემ გაიზიარა. ამის შემდეგ მწვრთნელმა სასურველი ფეხბურთელების ძიება განაახლა და როგორც ჩანს, ერთ-ერთ ასეთად დავითნიძეც ჩათვალა.

დავითნიძე, რომელიც აბრამიძის მსგავსად ამპლუით მცველია, უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს. „ტორპედო" 25 იანვარს მეორედ მიემგზავრება კვიპროსში, სადაც შევჩენკო მორიგ შეკრებას გეგმავს. თუ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა, დავითნიძეც „ტორპედოს" გაჰყვება. მისი ბედიც, ალბათ, ამ შეკრების შემდეგ გადაწყდება.

შეგახსენებთ, 21 წლის გიორგი დავითნიძე ერთხელ უკვე თამაშობდა უცხოეთში. შარშან თბილისის „მერანიდან" უკრაინაში, ტერნოპოლის „ნივაში" გადავიდა, თუმცა იქ საქმეები ვერ აეწყო და საქართველოში, ოღონდ ფოთის „კოლხეთში" დაბრუნდა. იმედია, დავითნიძეს ამჯერად მაინც გაუმართლებს.

**ვანო ოქროპირიძე**

# ქეცბაიამ რობსონი გააკრიტიკა

## ქართველი ამპლუის შეცვლაზეც თანახმაა, ოღონდ ათამაშონ

გუშინ თემურ ქეცბაიამ კორექტულად გააკრიტიკა „ჯორდების" ახალი დამრიგებელი ბობი რობსონი. ბოლო ტურში სერ ბობიმ ქართველი კვლავ სათადარიგოთა სკამზე დატოვა, რამაც თემურს, როგორც ჩანს, მოთმინების ფიალა აუვსო.

„უკმაყოფილო ვარ რობსონის არჩევანით, გული მწყდება და იმედიც გამიცრუვდა, მაგრამ აქვე აღვნიშნავ, ჩემი კონკურენტები — ალან შირერი და დანკან ფერგიუსონი დიდებულად გამოიყურებიან" — ჯენტლმენურად აღნიშნა თემურმა.

„ვგრძნობ, რომ შემიძლია, ბევრი მივცე „ნიუკასლს", მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ვზივარ. აქ ადგილის მოპოვება ადრეც მიჭირდა და ახლაც მიჭირს. ამას მივეჩვიე, თუმც ახლაც მგონია, რომ კუთვნილს მალე დავიბრუნებ" — დარწმუნებულია თემური.

ქეცბაიას თქმით, იგი შეეცდება ვარჯიშების დროს კარგი შთაბეჭდილება მოახდინოს რობსონზე. „ოღონდ მან შანსი მომცეს და ამპლუის შეცვლაზეც თანახმა ვარ. მიყვარს ეს გუნდი, ნიუკასლელი ფანები, აქაურობა. ამიტომაც გავაგრძელე კონტრაქტი კიდევ სამი წლით და მინდა, „ნიუკასლისთვის" ბოლომდე დავიხარჯო" — განაცხადა ქართველმა.

ქეცბაიასთვის წლევანდელი სეზონი კარგად დაიწყო. გულიტის გუნდში იგი ძირითადის მოთამაშე იყო. პირველი ოთხი ტური მან თავდამსხმელად ითამაშა. შემდეგ ტრავმის გამო მე-5, მე-6 და მე-7 ტურების გამოტოვება მოუხდა. მე-8 ტურში „შეფილდთან" 8:0 გამარჯვებისას კვლავ ძირითადში გახლდათ. მე-9 ტურში, 25 სექტემბერს, „ლიდს იუნაიტედთან" მძიმედ დაშავდა და მე-15 ტურამდე არ გამოჩენილა. „უოტფორდთან" შეხვედრისას მან მე-7 წუთზე შეცვალა დამტვრეული გალაჰერი. მე-16 ტურში „ტოტენჰემს" გოლიც გაუტანა. თითქოს ყველაფერი აეწყო, მაგრამ 4 დეკემბრის მატჩი „ასტონ ვილასთან" მისთვის საბედისწერო გამოდგა. მართალია, ქართველი დიდებულად გამოიყურებოდა უეფას თასზე „რომასთან" შეხვედრებში (განსაკუთრებით 9 დეკემბერს ნიუკასლში), მაგრამ ამან, როგორც ჩანს, რობსონის გადაწყვეტილებაზე აღარ იმოქმედა. მე-18 ტურიდან მოყოლებული ქართველის წუთობრივი მონაცემები პრემიერლიგაში და ასოციაციის თასზე ასე გამოიყურება: 19 ტური: ლივერპული — 1 წუთი, 20 ტური: ლესტერი — არ უთამაშია, 21 ტური: ვესტ ჰემი — 12, 22 ტური: საუთჰემპტონი — 9, 23 ტური: უიმბლდონი — არ უთამაშია, ასოციაციის თასზე დეკემბერში, ტოტენჰემი — 14, საპასუხო მატჩი — 13, იანვარში — შეფილდი — 8 წუთი.

**სიმონ მენაბდე**


SKY SPORT
თემურ ქეცბაია (№14) უეფას თასზე „რომასთან" მატჩისას

# დევიძეც ლოკომოტივში?

თბილისის „ლოკომოტივში“ რევაზ ძოძუაშვილის მისვლის შემდეგ გუნდის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. კლუბი ახალი ფეხბურთელებით აივსო, რომელთა უდიდეს ნაწილსაც ახალგაზრდები წარმოადგენენ. სავსებით შესაძლებელია, უახლოეს დღეებში მათ რიცხვს კიდევ ერთი პერსპექტიული მოთამაშე, მერანელი სოსო დევიძეც შეემატოს.

„სოსოს დიდი სურვილი აქვს, კარიერა „ლოკომოტივში“ გააგრძელოს. ჩვენ მას ხელს არაფერში შევუშლით, მთავარია, ორ კლუბს შორის დაწყებული მოლაპარაკება წარმატებით დასრულდეს“ — აღნიშნა „სარბიელთან“ საუბარში „მერანის“ ტექნიკურმა დირექტორმა ანზორ მამალაძემ.

რევაზ ძოძუაშვილი რომ სელექციის დიდი ნიჭითაა დაჯილდოებული, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ეროვნული ნაკრების ერთ-ერთმა თავკაცმაც, ეტყობა, 19 წლის ფეხბურთელში გარკვეული პოტენციალი დაინახა, თორემ ტყუილად ხომ არ მიიწვევდა.

დევიძე, შეგახსენებთ, ერთ-ერთი იმათგანია, რომელმაც ვახტანგ კოპალეიშვილის ხელმძღვანელობით 18-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა.

მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე დევიძეს ყველა მცველად იცნობდა, თუმცა შემოდგომამდე „მერანის“ მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა თემურ ჩხაიძემ მას ამპლუა შეუცვალა. მცველი, რომელიც შეტევაში საკმაოდ ხშირად ერთვებოდა, ნახევარდაცვაში წაწია. შეიძლება ითქვას, მწვრთნელის ტაქტიკურმა ჩანაფიქრმა მთლიანად გაამართლა. დევიძე 3 გატანილი გოლით პირველ ეტაპზე გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

საინტერესოა, ზემოხსენებული ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში სად განამწესებს ძოძუაშვილი დევიძეს?

**ვანო ოქროპირიძე**



[illegible] ფოტო

სოსო დევიძემ „ტრანსპორტი გამოიცვალა“

# მერანს თავიდან ხედნიან

ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილია. „მერანს“ ახალი, ფინანსურად საკმაოდ ძლიერი პატრონი გამოუჩნდა. ახლა მისი ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებ. კვირის ბოლოს ყველაფერს დაწვრილებით გეტყვითო, ეს თბილისის „მერანის“ ამჟამინდელმა პატრონ-გამკითხავმა ანზორ მამალაძემ გუშინ გვითხრა.

შეიძლება ითქვას, უახლოეს დღეებში „მერანი“ სულს მოითქვამს და ფეხზეც მყარად დადგება. ამაში ანზორ მამალაძის ოპტიმისტურმა ტონმა დაგვარწმუნა.

გუშინ ავჭალაში მდებარე „სინათლის“ სტადიონს გუნდის მომავალი მეპატრონეები სწვევიან. მათ სტადიონი დაუთვალიერებიათ, კლუბის ინფრასტრუქტურას გასცნობიან და მომავლის გეგმები დაუსახავთ. „მჯერა, ამ ხალხის „მერანში“ მოსვლა გუნდისთვის სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ისინი ფეხბურთში მოსვლის დიდ სურვილს ამჟღავნებენ და საკმაო ფულის ჩადებასაც აპირებენ“ — აღნიშნა ბატონმა ანზორმა, რომელსაც ოფიციალურად კლუბის ტექნიკური დირექტორის თანამდებობა უჭირავს.

აღსანიშნავია, რომ ამ პიროვნებების გამოჩენამდე საუბარი იყო „მერანის“ და რეგიონალურ კლუბ „აკადემიას“ გაერთიანებაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ „აკადემიას“ ბოლო წლებია, პირველ ლიგაში აღზევების დიდი ამბიცია აქვს, თუმცა ამის გაკეთება ვერა და ვერ შეძლო. კლუბის ხელმძღვანელობამაც თითქოს გამოსავალს მიაგნო და მერანელებს გაერთიანება შესთავაზა, თუმცა კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

ახალი სპონსორის სახელის გამჟღავნებამდე კი „მერანი“ ვარჯიშს განაგრძობს. როგორც რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, ავჭალელები 15 იანვრიდან შეუდგნენ მეორე ეტაპისთვის მზადებას, რომელზეც გუნდის უმთავრესი მიზანი, ბუნებრივია, ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. მერანელებმა უკვე სამი საკონტროლო მატჩის ჩატარებაც მოასწრეს, პირველად, შეგახსენებთ, თბილისის „ლოკომოტივს“ შეხვდნენ და ფრედ, 2:2 ეთამაშნენ. მეორე მეტოქე სოხუმის „ცხუმი“ გახლდათ. ის მატჩი „მერანმა“ დიდი ანგარიშით, 6:0 მოიგო. გუშინ კი „სინათლეს“ „ვიტ ჯორჯია“ ესტუმრა. შეხვედრა უგოლოდ — 0:0 დასრულდა.

მზადების პროცესში „მერანი“ მიხეილ მესხის სახელობის მინი-ფეხბურთის ტურნირშიც აპირებს მონაწილეობას. მის ჩატარებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თებერვლის პირველ რიცხვებში გეგმავს.

დაბოლოს. ახალი პატრონი „მერანის“ შეკრების მოწყობასაც აპირებს. იგი სავარაუდოდ ორკვირიანი იქნება. შეკრებას ერთ დროს ტრანსპორტელებად წოდებული ავჭალელები ქვეყნის თასის მატჩების წინ (25 თებერვლამდე) გაივლიან. სად, ჯერჯერობით უცნობია.

**ვანო ოქროპირიძე**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო**<br>*დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი), ჩხაბერიძე (თავისუფალი აგენტი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | |
| **დინამო**<br>*ოთარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (სპარტაკი, ვარნა, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | გოგიჩაიშვილი, ქებაძე (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჟანიძე (უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო), გადელია (ბათუმი) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველოს U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5 |
| **კოლხეთი**<br>*გია ტყებუჩავა* | ჭოხონელიძე (თსუ), ტრაპაიძე (შერიფი, მოლდოვა), დავითნიძე (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ბულუხია (თამაში მიატოვა), მელაძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა) | |
| **ბათუმი**<br>*ჯანი კარნევალე* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), გ. ნოზაძე (საუ), კაკაბაძე (ცხუმი) | |
| **ვიტ ჯორჯია**<br>*სერგო კოტრიკაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (ლოკომოტივი) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი, ახალაძე (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო), ვ. კაკაშვილი (თბილისი) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0 |
| **სიონი**<br>*სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი), ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (?) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი) | |
| **დილა**<br>*მერაბ კოჭლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი) | | ვიტ ჯორჯია 0:1 |
| **იბერია**<br>*სოსო ფრუიძე* | | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი**<br>*რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი, ქებაძე (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), დ. ჯანელიძე, დოლაბერიძე (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), ხურიძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი), გამცემლიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), დ. გოდერძიშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ჯულელი (მეტალურგი, ლიპეცკი, რუსეთი) | დინამო 2:1, მერანი 2:2 |
| **გორდა**<br>*იასონ ალადაშვილი* | | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია) | |
| **თსუ**<br>*თენგიზ კაცია* | მერლანი, ახალაძე (ვიტ ჯორჯია), ნინუა (?) | ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი) | ვიტ ჯორჯია 4:6 |
| **მერანი**<br>*სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქა, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), ქოიავა (არაგვი), თ. დოლიძე, მოსულიშვილი (?) | ლოკომოტივი 2:2, ცხუმი 6:0, ვიტ ჯორჯია 0:0 |
| **თბილისი**<br>*რამაზ შენგელაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია) | გონჩაროვი (არსენალი), ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი) | |
| **სამგურალი**<br>*იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა) | |
| **ხობი**<br>*ფრიდონ გოცირიძე* | | | |
| **არსენალი**<br>*ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), დაუშვილი (სიონი); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | |

**შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფრიკელთა გარეშე

## ინგლისი

XXIII ტური

### სანდერლენდი 1:2 ლიდსი

0:1 უილკოქსი (24), 0:2 ბრიჯესი (50), 1:2 ფილიპსი (51)
სანდერლენდი: სორენსენი, უილიამსი, ბატლერი, ბოულდი (კრადოკი 76), გრეი (ჰოლოვეი 45), კილბეინი, რაე, რუა (რიდი 63), მაკკანი, შვარცი, ფილიპსი
ლიდსი: მარტინი, ა. კელი, ვუდგეიტი, დაბერი, ჰარტი, უილკოქსი, ბაკე, ბოუერი, მაკფაილი, ბრიჯესი (ჰაკერბი 74), კიუელი
გაფრთხილება: ბაკე
მსაჯი: ჯონსი

### ლესტერი 1:3 ვესტ ჰემი

0:1 ვანჩოპე (13), 1:1 ჰესკი (24), 1:2 ვანჩოპე (45), 1:3 დი კანიო (60)
ლესტერი: არპექსადი, სინკლერი, ჯილკრისტი, ელიოტი, გოდვინი, ედი, მ. კემბელი, ზაგორაკისი (სტიუარტი 67), გუნლაუგსონი (ტომასი 57), ჰესკი, ფენტონი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი (ფორესტი 26), რადოკი, რ. ფერდინანდი, მარგასი, ლომასი (კარიკი 38, მინტო 72), ჯ. კოული, ლამპარდი, ტ. სინკლერი, კელერი
გაფრთხილება: სინკლერი, მინტო
მსაჯი: ელერეი

### უიმბლდონი 2:0 ნიუკასლი

1:0 ერლი (48), 2:0 გეილი (69)
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ანდერსენი, ჰრეიდარსონი, კიმბლი, ერლი, იუელი, ბადირი, კორტი, ლებერნი (ერდლი 61), გეილი
ნიუკასლი: ჰარპერი, უ. ბარტონი, მარსელინიო, დაბიზასი, პისტონე, სოლანო, სპიდი, გალაჰერი (დომი 75), დაიერი, დ. ფერგიუსონი, შირერი
მსაჯი: გალაჰერი

### საუთჰემპტონი 2:0 ევერტონი

1:0 ტესემი (47), 2:0 ოუკლი (56)
საუთჰემპტონი: ჯონსი, მონკი, რიჩარდსი, ლუნდეკვამი, ბენალი, ტესემი, ოუკლი (სოლტვედტი 72), მარსდენი, ბოა მორტე (ბერესფორდი 81), პახარსი, დევისი (ბიტი 88)
ევერტონი: ჟერარდი (სიმონსენი 6), დანი (მური 78), გუგი, ვეირი, ანსუორთი (ბოლი 63), კოლინზი, ჰათჩისონი, პემბრიჯი, ბარმბი, ჯეფერსი, კ. კემპბელი
გაფრთხილება: ლუნდეკვამი, მარსდენი, ბოა მორტე, პახარსი, ანსუორთი, ვეირი, ბარმბი
მსაჯი: დურსო

### ბრედფორდი 3:2 უოტფორდი

1:0 ბიგრი (25პ), 1:1 ჰიდი (33), 2:1 უოლეი (37), 3:1 ობრაიენი (49), 3:2 ჰელგუსონი (88)
ბრედფორდი: კლარკი (დევისონი 74), ჰალე, ვეზეროლი, ობრაიენი, ჯაკობსი, ლოურენსი, მაკკოლი, უოლეი (რედფერნი 77), ბიგრი, უინდასი, სონდერსი (ვესტვუდი 90)
უოტფორდი: ჩემბერლენი, კოქსი, პეიჯი, პალმერი, რობინსონი, ლიტლი, მილერი (მ. სმიტი 68), ჰიდი, პერპეტუინი (ბონოტი 68), ჰელგუსონი, გრაველენი
გაფრთხილება: ლიტლი
მსაჯი: ალკოკი

### დერბი ქაუნთი 0:0 ქოვენთრი

დერბი ქაუნთი: პოომი, ლაურსენი, კარბონარი, ელიოტი (ქინქლაძე 46), დელაპი, ბარლი, ჯონსონი, ბოჰინენი, შნური, შტრუპარი, დ. ბარტონი (კრისტი 81)
ქოვენთრი: ჰედმანი, ტელფერი, უილიამსი, ბრინი, როგატი, სტრაჩანი (ქვინი 77), ოსტიჩი (გუსტაფსონი 81), მაკალისტერი, ველანი, რუსელი, რობი კინი
მსაჯი: ბარბერი

### ლივერპული 0:0 მიდლსბრო

ლივერპული: ვესტერველდი, კარაგერი, ჰიიპია, ენჩოსი, მატეო, ტომპსონი (მერფი 57), ჰამანი, ჯერარდი, ბერგერი, შმიცერი (ნევბი 76), ოუენი (მეიერი 28)
მიდლსბრო: შვარცერი, მასტო, ფესტა, პალისტერი, ვიკერსი (გევინი 68), ფლემინგი, კუპერი, ინსი, სამერბელი, ჟუნინიო, სტივ კემპბელი (რიკარდი 82)
გაფრთხილება: ჟუნინიო, ინსი, რიკარდი
მსაჯი: დანი

### ტოტენჰემი 0:1 შეფილდ უენსდი

0:1 ალექსანდერსონი (38)
ტოტენჰემი: უოლკერი, კარი, პერი, სოლ კემპბელი, ედინბორო (იანგი 62), ანდერტონი, კლემენსი (ნილსენი 62), შერვუდი, ჟინოლა, კ. არმსტრონგი (კორსტენი 62), ივერსენი
შეფილდ უენსდი: სრნიჩეკი, ნოლანი, აზერტონი, უოლკერი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი, იონკი, ჰასლამი, მ. ქუინი (სკოტი 63), სიბონი, დე ბილდე (დონელი 89)
მსაჯი: რილი

### ასტონ ვილა 0:0 ჩელსი

ასტონ ვილა: ჯეიმსი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, ბერი, უოტსონი (დილანი 60), ტეილორი, ბოატენგი, მერსონი, ა. რაიტი, ჯოაკიმი (ვასელი 46, სტოუნი 63), კარბონე
ჩელსი: დე გუი, ლამბური, ლებეფი (ჰოგი 63), ტომე, ჰარლი, მორისი, უაიზი, დეშამპი, პოიეტი (ფლო 74), ვეა, სატონი (ძოლა 74)
მსაჯი: უილკი

### მანჩესტერი 1:1 არსენალი

0:1 ლიუნბერგი (12), 1:1 შერინგემი (73)
მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სტამი, სილვესტრი, ირვინი (ფ. ნევილი 88), ბექემი, როი კინი, ბათი, გიგზი, ე. კოული (შერინგემი 66), იორკი
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, გრიმანდი, სილვინიო (უინტერბერნი 24), პარლოუ, ვიეირა, პეტი, მ. პიუზი (მალცი 70), ლიუნგბერგი, ანრი
გაფრთხილება: გრიმანდი
მსაჯი: პ. დარკინი

ვისაც აფრიკელი ჰყავს, ამ ორ კვირას გაუჭირდება. შავთა კონტინენტის თასზე მოასპარეზე ნაკრებებისკენ იმდენი პრემიერლიგელი დაიძრა, რომ მათ ჩამოსათვლელად გვარიანი საგაზეთო ადგილი დაგვჭირდება.

შორს ნუ წავალთ, ჩემპიონატის ლიდერ „ლიდსის“ კაპიტანი ლუკას რადებე კვირა საღამოს სამხრეთ აფრიკელთა სანაკრებო მაისურში გამოწყობილი დარბოდა და თავისი ქვეყნის ღირსებას იცავდა გაბონელებთან მატჩში. იმავე კვირა საღამოს „ლიდსი“ სანდერლენდს სტუმრობდა. ჩემპიონატის ლიდერი ჩემპიონატის ალმოჩენას უნდა დაჯახებოდა. შობის ტურებიდან მოყოლებული, ორივე ფორხილ-ფორხილით მიდიოდა წინ. უფრო სწორად კი, „ლიდსი“ ადგილზე იდგა, „სანდერლენდი“ კი უკან-უკან იწევდა — ბოლო ხუთ ტურში ოთხი თამაში წააგო.

„სანდერლენდს“ არ ჰყავდა ფეხნატკენი ირლანდიელი ნეილ ქუინი, რომლის თავურებიც ჰაი, როგორ დააკლდა. „ლიდსიც“ ვერ იყო მთლად დაწყობილ გუნებაზე, რადგან იქეთ იყოს და ორიოდ დღის წინათ პოლიციას დაეკითხა გამთენიის ჟამის მთვრალი მოწიხლავენი ლი ბოუერი და ჯონათან ვუდგეიტი. როცა ესენი ბურთს მიიღებდნენ, „ლაითის“ სტადიონი ავი ღმუილით შეახსენებდა ხოლმე, თქვე ხულიგნებოო.

თავად მატჩი კი მეტად დაძაბული და მძიმე იყო. თამაში უფრო „ლიდსს“ ეჭირა, თუმცაღა პირველი ნაღდად საგოლე მომენტი მაინც მის კართან შეიქმნა. ახმახი მეწყვილის გარეშე დარჩენილი კევინ ფილიპსი წინ ბრწყინვალედ ირჯებოდა. 21-ე წუთზე მან ისეთი დაურტყა სტუმართა მეკარეს, რომ არ იქნებოდა, ტაში არ შემოგეკრა. მაგრამ არ იქნებოდა არ მოგწონებოდა ნაიჯელ მარტინიც, რომელმაც სასწაულებრივად მოიგერია ფილიპსის დარტყმული. ლიდსელთა პირველი გოლი კი ამ ამბიდან სამიოდ წუთში გავიდა: „სანდერლენდის“ ცოდვიანმა დაცვამ მორიგი პოზიციური შეცდომა დაუშვა და ამ ზამთარს „ბლექბერნიდან“ გადაყვანილმა ჯეისონ უილკოქსმა 20 მეტრიდან გაუტანა ტომას სორენსენს.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა უილკოქსმა კვლავ გამოიყენა სტუმართა შეცდომა. დაცვაში ჩარჩენილმა სტივ ბოულდმა გუნდური ხელოვნური თამაშგარე ჩაშალა და ექს-სანდერლენდელმა მაიკლ ბრიჯესმაც კარგად გამოიყენა უილკოქსის დაბალი პასი. ამას იმწუთსვე მოჰყვა ფილიპსის ერთი საპასუხო, მან ვუდგეიტს ბურთი მოჰპარა და ძელის პირას ჩააჭედა თავის განთქმული ლურსმული დარტყმით. ანგარიში 1:2 შეიქნა და „სანდერლენდმაც“ შტურმი წამოიწყო. თუმც კი, ეს შტურმი მხოლოდ ერთხანს გაგრძელდა — იორკშირელთა ნახევარდაცვამ აშკარად აჯობა პიტერ რიდის გამთამაშებლებს. შედეგად კი „ლიდსმა“ სამი ქულა წაიღო „ლაითიდან“.

უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო უხვგოლიანი ტური. სამი შეხვედრა საერთოდაც უგოლოდ დასრულდა. მოლონიერებულმა „ასტონ ვილამ“ შინ ნამდვილი დაბომბვა მოუწყო „ჩელსის“, მაგრამ ვერ გაუტანა ამ შეხვედრაში ვარსკვლავად ორი ჩანდა: აქეთ პოლ მერსონი და იქეთ ჟორჟ ვეა. „ლივერპულმა“ ვერაფერი დააკლო „მიდლსბროს“, რომელიც „ენფილდზე“ ქულის საშოვნელად იყო გასული და მთელი თამაში კარში იდგა. ამას ისიც დაერთო, რომ 28-ე წუთზე კვლავ დაშავდა მერსისაიდელთა ლიდერი მაიკლ ოუენი, რომელიც შეცვალეს.

„უიმბლდონმა“ 2:0 მოუგო „ნიუკასლს“, რომელსაც ორი-სამი შანსი ჰქონდა შეხვედრის დასაწყისში, მაგრამ მასპინძელთა მეკარე ნილ სალივანს ვერაფერი მოუხერხა. მეორე ტაიმში კი რობი ერლმა და მარკუს გეილმა ურტყეს შორიდან და შედეგსაც მიაღწიეს. ასეთივე ანგარიშით „საუთჰემპტონმა“ „ევერტონს“ სძლია. ეს იყო სამხრეთელთა მესამე გამარჯვება ბოლო ჩვიდმეტ შეხვედრაში. ამ მატჩის მეორე ტაიმის შემხედვარე ვერავინ იტყოდა, რომ „საუთჰემპტონი“ ცხრილის ბოლოში ლაფავს სულს. მაჩანჩალურ ჭიდილში „ბრედფორდმა“ 3:2 მოუგო „უოტფორდს“, ლესტერის „ფილბერტ სტრიტზე“ კი პაულო ვანჩოპემ და პაოლო დი კანიომ დაუნდობლად დაცხრილეს ათი სათადარიგოთი მოთამაშე მასპინძლები, რომელთაგან მხოლოდ ემილ ჰესკიმ გაიბრძოლა. „შეფილდ უენსდიმ“ სეზონში პირველად მოიგო გასვლაზე და აგვისტოს შემდეგ პირველად ასცდა ბოლო საფეხურს. ვიმ იონკმა და ნიკლას ალექსანდერსონმა კონტრშეტევაზე გამოიჭირეს „ტოტენჰემი“ და ჯორჯ გრემის გუნდს ქულაც კი არ აღირსეს მშობლიურ კედლებში. შეფილდელთა მეკარე სრნიჩეკმა ბლომად ხიფათიანი ბურთი მოიგერია, კრის არმსტრონგმა კი ისეთები ააცილა, რომ გაბრაზებულმა გრემმა შეცვალა.

„დერბი ქაუნთი“ „ქოვენთრის“ მასპინძლობდა და ეს შეხვედრა პირდაპირ განწირული იყო ნულოვანი ანგარიშისთვის. სტუმართა მენეჯერ სტრაჩანს მაროკოელი ჯადოქრები მუსტაფა ჰაჯი და იუსუფ ჩიპო გაესტუმრებინა აფრიკაში, თავისი შვილი გევინი გამოეყვანა და ყვიროდა არ გაუშვათო. მასპინძელთა მწვრთნელმა ჯიმ სმიტმა კი თამაშის შემდეგ თქვა, ძალიან არ გვინდოდა გაგვეშვაო. ყოველივე ესო, გვამცნობენ ინგლისელი მიმომხილველები, ვერაფერი ნუგეში იყო სტადიონზე შეყრილი 30 ათასი კაცისთვისო. გიორგი ქინქლაძე კი მაშინ გავიდა მოედანზე, როცა თამაში უკვე სპარინგს ემსგავსებოდა. მას კი, როგორც ჩანს, არ აწყობდა მხოლოდ სპარინგის მონაწილე ყოფილიყო. ერთი კარგი ჯარიმა დაურტყამს და ერთიც მშვენიერი კედელი გამოსვლია ბარტონთან, თუმც კი ორივე აუცილებია. საერთოდაც კარგად უთამაშია და როგორც წერენ, ახლა მთავარი მისი ფიზიკური მზადყოფნაა, რათა სასტარტოში დაიკავოს ადგილი და მთელს თამაშს გაწვდეს. მაშინ „დერბი“ უფრო იოლად ამოყვინთავს საშიში წყლებიდან.

**ირაკლი გამყრელიძე**


REUTERS ლივერპულიდან

ლივერპული — მიდლსბრო 0:0. ლივერპულელმა მაიკლ ოუენმა და მისმა თანაგუნდელებმა სტუმრები ვერ დაჯაბნეს

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლიდსი | 22 | 15 | 2 | 5 | 37:25 | 12 | 47 | 11 | 8 | 1 | 2 | 17:9 | 8 | 25 | 11 | 7 | 1 | 3 | 20:16 | 4 | 22 |
| 2 მანჩესტერი | 20 | 13 | 5 | 2 | 51:26 | 25 | 44 | 11 | 8 | 3 | 0 | 34:8 | 26 | 27 | 9 | 5 | 2 | 2 | 17:18 | -1 | 17 |
| 3 არსენალი | 23 | 13 | 5 | 5 | 42:23 | 19 | 44 | 12 | 9 | 2 | 1 | 27:9 | 18 | 29 | 11 | 4 | 3 | 4 | 15:14 | 1 | 15 |
| 4 ლივერპული | 23 | 12 | 5 | 6 | 34:20 | 14 | 41 | 12 | 8 | 1 | 3 | 20:8 | 12 | 25 | 11 | 4 | 4 | 3 | 14:12 | 2 | 16 |
| 5 სანდერლენდი | 23 | 11 | 5 | 7 | 37:31 | 6 | 38 | 12 | 7 | 3 | 2 | 19:10 | 9 | 24 | 11 | 4 | 2 | 5 | 18:21 | -3 | 14 |
| 6 ჩელსი | 23 | 10 | 7 | 6 | 31:22 | 9 | 37 | 11 | 7 | 2 | 2 | 19:6 | 13 | 23 | 12 | 3 | 5 | 4 | 12:16 | -4 | 14 |
| 7 ტოტენჰემი | 23 | 10 | 5 | 8 | 34:27 | 7 | 35 | 11 | 7 | 1 | 3 | 22:13 | 9 | 22 | 12 | 3 | 4 | 5 | 12:14 | -2 | 13 |
| 8 ვესტ ჰემი | 22 | 8 | 8 | 6 | 28:25 | 3 | 32 | 10 | 6 | 3 | 1 | 16:12 | 4 | 21 | 12 | 2 | 5 | 5 | 12:13 | -1 | 11 |
| 9 ასტონ ვილა | 23 | 8 | 7 | 8 | 22:23 | -1 | 31 | 11 | 4 | 5 | 2 | 11:7 | 4 | 17 | 12 | 4 | 2 | 6 | 11:16 | -5 | 14 |
| 10 ლესტერი | 23 | 9 | 4 | 10 | 32:34 | -2 | 31 | 12 | 6 | 2 | 4 | 18:16 | 2 | 20 | 11 | 3 | 2 | 6 | 14:18 | -4 | 11 |
| 11 ევერტონი | 23 | 7 | 9 | 7 | 37:34 | 3 | 30 | 11 | 4 | 7 | 0 | 25:12 | 13 | 19 | 12 | 3 | 2 | 7 | 12:22 | -10 | 11 |
| 12 ქოვენთრი | 22 | 7 | 8 | 7 | 30:24 | 6 | 29 | 12 | 7 | 1 | 4 | 24:14 | 10 | 22 | 10 | 0 | 7 | 3 | 6:10 | -4 | 7 |
| 13 უიმბლდონი | 23 | 6 | 10 | 7 | 34:37 | -3 | 28 | 12 | 5 | 5 | 2 | 22:13 | 9 | 20 | 11 | 1 | 5 | 5 | 12:24 | -12 | 8 |
| 14 მიდლსბრო | 21 | 8 | 4 | 9 | 24:30 | -6 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 12:14 | -2 | 17 | 10 | 3 | 2 | 5 | 12:16 | -4 | 11 |
| 15 ნიუკასლი | 23 | 7 | 6 | 10 | 39:39 | 0 | 27 | 11 | 5 | 4 | 2 | 28:13 | 15 | 19 | 12 | 2 | 2 | 8 | 11:26 | -15 | 8 |
| 16 დერბი ქაუნთი | 23 | 6 | 5 | 12 | 23:33 | -10 | 23 | 12 | 3 | 1 | 8 | 9:18 | -9 | 10 | 11 | 3 | 4 | 4 | 14:15 | -1 | 13 |
| 17 საუთჰემპტონი | 22 | 6 | 5 | 11 | 26:37 | -11 | 23 | 11 | 4 | 3 | 4 | 14:13 | 1 | 15 | 11 | 2 | 2 | 7 | 12:24 | -12 | 8 |
| 18 ბრედფორდი | 23 | 5 | 6 | 12 | 19:35 | -16 | 21 | 11 | 3 | 6 | 2 | 13:15 | -2 | 15 | 12 | 2 | 0 | 10 | 6:20 | -14 | 6 |
| 19 შეფილდ უენსდი | 22 | 4 | 4 | 14 | 20:46 | -26 | 16 | 10 | 3 | 3 | 4 | 13:12 | 1 | 12 | 12 | 1 | 1 | 10 | 7:34 | -27 | 4 |
| 20 უოტფორდი | 23 | 4 | 2 | 17 | 21:50 | -29 | 14 | 11 | 3 | 1 | 7 | 15:21 | -6 | 10 | 12 | 1 | 1 | 10 | 6:29 | -23 | 4 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 19 |
| შირერი (ნიუკასლი) | 14 |
| კოული (მანჩესტერი) | 13 |
| ბრიჯესი (ლიდსი) | 12 |

XXIV ტური

29 იანვარი (გამოტოვებული)
მანჩესტერი — მიდლსბრო
5 თებერვალი
ასტონ ვილა — უოტფორდი
ბრედფორდი — არსენალი
დერბი — შეფილდი
ლესტერი — მიდლსბრო
ლივერპული — ლიდსი
მანჩესტერი — ქოვენთრი
საუთჰემპტონი — ვესტ ჰემი
სანდერლენდი — ნიუკასლი
ტოტენჰემი — ჩელსი
6 თებერვალი
უიმბლდონი — ევერტონი

## პირველი დივიზიონი

XXVIII ტური

### სუინდონი 2:4 კრ. პალასი

1:0 რივსი (21), 1:1 მორისონი (30), 1:2 ფოსტერი (55), 1:3 მულინსი (57პ), 2:3 ჰალი (61), 2:4 მორისონი (88)

### ბარნსლი 5:1 ბლექბერნი

1:0 დაიერი (5), 1:1 ფრანდსენი (8), 2:1 ჰინეტი (15), 3:1 შიპერლი (23), 4:1 ბარნარდი (33), 5:1 დაიერი (72)

### ბოლტონი 1:1 იფსვიჩი

1:0 ჰოლდსუორთი (66), 1:1 ჰოლანდი (86)

### ქრიუ 2:3 უოლსოლი

0:1 ბენეტი (17), 0:2 რიკეტსი (32), 1:2 მაკოული (33პ), 1:3 ჰარპერი (45), 2:3 ტაიტი (67)

### ფულემი 0:1 გრიმსბი

0:1 ლესტერი (55)

### ჰადერსფილდი 1:0 ტრანმერი

1:0 სტიუარტი (13)

### ნორვიჩი 0:3 ჩარლტონი

0:1, 0:2, 0:3 ჰანტი (41, 73, 78)

### ნოტინგემი 0:0 ვესტ ბრომვიჩი

### პორტვეილი 3:1 ბირმინგემი

1:0 ნეილორი (14), 1:1 ჰიუზი (48), 2:1 ვიდრინგტონი (84პ), 3:1 რუგიერი (90)

### შეფილდ იუნ. 1:0 სიტი

1:0 ბრაუნი (40)

### სტოკპორტი 1:1 პორტსმუთი

1:0 დინინგი (14პ), 1:1 ჰიუზი (44)

### ვულვზი 3:2 ქუინზ პარკი

1:0 სედჯლი (22), 2:0 ბრენჩი (23), 3:0 აკინბი (29), 3:1 პიკოკი (79), 3:2 სლეიდი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 28 | 18 | 5 | 5 | 52:28 | 59 |
| სიტი | 28 | 17 | 4 | 7 | 44:22 | 55 |
| ბარნსლი | 28 | 17 | 4 | 7 | 59:39 | 55 |
| იფსვიჩი | 28 | 15 | 8 | 5 | 47:28 | 53 |
| ჰადერსფილდი | 28 | 15 | 5 | 8 | 45:29 | 50 |
| ვულვზი | 28 | 11 | 9 | 8 | 37:32 | 42 |
| სტოკპორტი | 28 | 11 | 9 | 8 | 33:36 | 42 |
| ბლექბერნი | 27 | 10 | 10 | 7 | 35:30 | 40 |
| ქუინზ პარკი | 28 | 10 | 9 | 9 | 37:34 | 39 |
| ფულემი | 28 | 9 | 12 | 7 | 25:25 | 39 |
| ბირმინგემი | 27 | 10 | 8 | 9 | 37:31 | 38 |
| ნორვიჩი | 28 | 10 | 8 | 10 | 27:30 | 38 |
| ბოლტონი | 27 | 9 | 9 | 9 | 35:31 | 36 |
| ტრანმერი | 28 | 10 | 6 | 12 | 37:38 | 36 |
| კრ. პალასი | 28 | 9 | 8 | 11 | 40:45 | 35 |
| შეფილდ იუნ. | 28 | 9 | 7 | 12 | 35:43 | 34 |
| გრიმსბი | 28 | 9 | 6 | 13 | 32:48 | 33 |
| ნოტინგემი | 28 | 7 | 8 | 13 | 29:36 | 29 |
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 5 | 14 | 9 | 24:32 | 29 |
| ქრიუ | 28 | 7 | 7 | 14 | 27:37 | 28 |
| უოლსოლი | 28 | 7 | 7 | 14 | 31:45 | 28 |
| პორტვეილი | 27 | 6 | 9 | 12 | 31:37 | 27 |
| პორტსმუთი | 28 | 5 | 9 | 14 | 31:45 | 24 |
| სუინდონი | 28 | 3 | 9 | 16 | 20:49 | 18 |

## მეორე დივიზიონი

28-ე ტური. ბრენტფორდი — ბერი 2:1; ბრისტოლი — უიგანი 0:0; ბარნლი — ოლდემი 3:0; კემბრიჯი — ჩესტერფილდი 2:0; კოლჩესტერი — ბორნმუთი 3:1; ჯილინგემი — ბლექპული 1:3; ლუთონი — რედინგი 3:1; მილუოლი — სტოკი 1:0; ოქსფორდი — როვერსი 0:5; პრესტონი — უიკომბი 3:2; სკანთორპი — ნოტსი 1:0; რექსჰემი — კარდიფი 2:1

## მესამე დივიზიონი

28-ე ტური. ბარნეტი — ლინკოლნი 5:3; ჰარტლპული — კარლაისლი 1:0; ჰალი — ჩელტენემი 1:1; ლეიტონი — პიტერბრო 1:1; მენსფილდი — საუთენდი 3:1; ნორთჰემპტონი — ჩესტერი 3:1; პლიმუთი — ჰალიფაქსი 1:1; როჩდეილი — იორკი 2:1; როტერჰემი — ექსეტერი 5:0; სუონსი — მაკლსფილდი 1:0; ტორკი — ბრაიტონი 0:0; დარლინგტონი — შრიუსბერი გადაიდო

# იუვენტუსი. იუვენტუსი? იუვენტუსი!

## იტალია

### XVIII ტური

**მილანი 2:2 ლეჩე**

0:1, 0:2 ლუკარელი (29, 56), 1:2 მალდინი (62), 2:2 ბირჰოფი (69)
***2000 წელი***

| | |
|---|---|
| 2 სექტემბერი | ისლანდია — დანია; ბულგარეთი — ჩეხეთი; ჩრდ. ირლანდია — მალტა |
| 7 ოქტომბერი | ჩრდ. ირლანდია — დანია; ჩეხეთი — ისლანდია; ბულგარეთი — მალტა |
| 11 ოქტომბერი | დანია — ბულგარეთი; მალტა — ჩეხეთი; ისლანდია — ჩრდ. ირლანდია |

***2001 წელი***

| | |
|---|---|
| 24 მარტი | მალტა — დანია; ჩრდ. ირლანდია — ჩეხეთი; ბულგარეთი — ისლანდია |
| 28 მარტი | ჩეხეთი — დანია; ბულგარეთი — ჩრდ. ირლანდია |
| 25 აპრილი | მალტა — ისლანდია |
| 2 ივნისი | დანია — ჩეხეთი; ისლანდია — მალტა; ჩრდ. ირლანდია — ბულგარეთი |
| 6 ივნისი | დანია — მალტა; ისლანდია — ბულგარეთი; ჩეხეთი — ჩრდ. ირლანდია |
| 1 სექტემბერი | დანია — ჩრდ. ირლანდია; ისლანდია — ჩეხეთი; მალტა — ბულგარეთი |
| 5 სექტემბერი | ბულგარეთი — დანია; ჩეხეთი — მალტა; ჩრდ. ირლანდია — ისლანდია |
| 6 ოქტომბერი | დანია — ისლანდია; მალტა — ჩრდ. ირლანდია; ჩეხეთი — ბულგარეთი |

# საუბარი ამოწურულ თემაზე



რივალდო

„ბარსელონას" ბრაზილიელი ვარსკვლავი რივალდო კატალონიელებს ბოლო დროს გასაყიდად რომ გაუმეტებიათ, გავრცელებულ ხმათა თანახმად, ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედს" დაუკავშირდა და შესაძლო ტრანსფერზე აწარმოებს მოლაპარაკებებს. აქა-იქ მასა და იტალიურ „ლაციოზეც" გაიჟღერა ჭორმა, მაგრამ თავად ფეხბურთელი ყველაფერს კატეგორიულად უარყოფს.

„ისინი მატყუარები არიან" — პირდაპირ განაცხადა გასული წლის „ფრანს ფუტბოლის" ოქროს ბურთის მფლობელმა, როდესაც რომაულ გუნდში 55 მილიონ დოლარად გადასვლაზე ჩამოუგდეს სიტყვა.

არადა, იტალიიდან გამოსულ ცნობათა თანახმად, „ლაციო" სატრანსფერო ბაზარზე მსოფლიო რეკორდის დამყარებას აპირებდა. „კორიერე დელო სპორტს" უთქვამს, რომ რომაელები, რომელთაც არსებულ რეკორდშიც ურევიათ ხელი — გასულ ზაფხულს კრისტიან ვიერი მილანის „ინტერს" 48,6 მილიონად მიჰყიდეს — რივალდოს სიტყვიერად უკვე შეუთანხმდნენ.

„არავისთან მილაპარაკია. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ „ბარსელონასთან" 2003 წლამდე მაქვს კონტრაქტი და მინდა მის ამოწურვამდე აქ დავრჩე" — თქვა რივალდომ, რომლის აგენტს ხოსე მარია მინგელას ვინმესთან რაიმე მოლაპარაკების წამოწყება მისგან აკრძალული ჰქონია.

შემდეგ ფეხბურთელმა დასძინა, რომ ეს მისი ბოლო განცხადებაა ამ საკითხთან დაკავშირებით და ძალიან წუხს, რომ „ბარსას" პრეზიდენტმა ხოსე ლუის ნუნიესმა ამას წინათ პრესას უთხრა, თუ რივალდოს ჩვენთან დარჩენა აღარ სურს, შეუძლია წავიდესო. აღსანიშნავია, რომ აქამდე კატალონიელი დირექტორები ერთხმად აცხადებდნენ, ბრაზილიელი არ იყიდებაო.

„თუ მათ ჩემი გაყიდვა არ უნდათ და არც მე მსურს სადმე წასვლა, მაშ თემა ამოწურულია და ეგ არის" — დაავგვირგვინა რივალდომ.

# ვუდგეიტი და ბოუერი

## მათ თანაგუნდელები შინაპატიმრებად აქციეს

ჯონათან ვუდგეიტის და ლი ბოუერის საქმე პოლიციის ადგილობრივ უბანს გასცდა და ქვეყანა აალაპარაკა. ის, რომ ვუდგეიტი „ლიდსის" სასტარტო შემადგენლობის უცვლელი წევრია და ერთი მატჩი ნაკრებშიც გაუმართავს, არაფერ შუაშია. ის, რომ ბოუერი ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი გახლდათ, ესეც უმნიშვნელო რამ არის. მიზეზი სულ სხვაა.

ისტორიას მოკლედ შეგახსენებთ. 12 იანვარს, საღამოს, ფეხბურთელები ერთ-ერთ ღამის კლუბს სწვევიან და იქიდან გამთენიისას, გვარიანად შეზარხოშებულნი გამოსულან. ქუჩაში მათი უცნობ ახალგაზრდა კაცს შარი მოსდეს და სასტიკად სცემეს. ვუდგეიტი და ბოუერი პოლიციის განყოფილებაში მიაბრძანეს, დაზარალებული კი ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. სპორტსმენები კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში არაერთხელ უმხილებიათ, ლიდსელთა შემთხვევა კი განსაკუთრებულად დრამატული აი, რატომ არის — დაზარალებული აზიელია, ესე იგი, საქმეს რასიზმის სუნი უდის. ახლა ვუდგეიტმა და ბოუერმა რამდენიც უნდა იძახონ, რასისტები არ ვართ, ცისფერსისხლიანი ბრიტანელიც რომ შეგვყროდა, ანალოგიურად გავუსწორდებითო, საქმეს ვერ უშველის. ჰოდა, ბორბალიც დატრიალდა. დღეს დამნაშავენი თავად არიან დასაცავები. ინგლისში მცხოვრები აზიელები იტალიური ვენდეტის მსგავსი რამით იმუქრებიან. საქმე იმდენად გართულდა, რომ „ლიდსის" თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილის ზოგადი ხასიათის განცხადება, მომხდარით შეწუხებულნი ვართო, დევიდ ოლირის შემაშფოთებელმა სიტყვებმა შეცვალა. მწვრთნელს პოლიციისთვის მიუმართავს, მუქარის წერილებს ვიღებთ და ანონიმური სატელეფონო ზარებიც ხშირად გაისმისო. დაზარალდნენ სხვა ლიდსელი ფეხბურთელებიც. სტადიონიდან თუ საწვრთნელი ბაზიდან ისინი პირდაპირ შინ მიიჩქარიან — ხელმძღვანელები ქუჩაში სიარულს სასტიკად უკრძალავენ.

შურისძიების მოსურნეთა რისხვა მოსამართლის გადაწყვეტილებამაც გაამძაფრა. ვუდგეიტი და ბოუერი გირაოს გადახდის შემდეგ დროებით გაათავისუფლეს და გამოძიების დასრულების მოლოდინში სახლებში შეყუჟულან, ემანდ რამე არ დაგვემართონო.

სასამართლო საბოლოო სიტყვას, ალბათ, მალე იტყვის. დევიდ ოლირომ კი ფეხბურთელთათვის სავალალო პროგნოზი გააკეთა: „სასამართლო განაჩენს გამოიტანს. როგორც არ უნდა დასრულდეს პროცესი, ვუდგეიტის და ბოუერის საქმე ხალხს კიდევ დიდხანს ემახსოვრება. მუდმივი შიში მათ ცხოვრებას გაუმწარებს. შინიდან გამოსულებს არ ეცოდინებათ, რა ელით".

**გიორგი დარჯანია**



ლი ბოუერი




ჯონათან ვუდგეიტი

## ფეხბურთი




REUTERS ლეგონიდან

ნიგერია — ტუნისი 4:2. ტუნისელი ზუბეირ ბაია ნიგერიელ სანდი ოლისეს გადაეღობა

GhanaNigeria2000

# აფრიკის თასი

განანიგერია-22იანვარი13თებერვალი

### I ტური

#### A ჯგუფი

**განა 1:1 კამერუნი**

0:1 ფოე (20), 1:1 აევუ (57)

განა: კინგსტონი, ს. კუფური, ბაიდო, გარგო (ედუსეი 55), ნიარკო, აჰინფული (ოფორი კუაე 36), აკონორი, გიანი, ჯონსონი, აევუ, ო. ადო (აპია 67)

კამერუნი: ალიუმი, ლორენი, სონგი, კალა, ვომე, ნჯანკა, ჯერემი, ფოე, ოლემბე (მეტომო 81), დეზირე ეობი (ნდიეფი 64), მბომა (ეტოო 80)

**ტოგო 1:1 კოტ დივუარი**

0:1 გუელი (38პ), 1:1 უადჯა (62)

*II ტური. 27 იანვარი. განა — ტოგო; 28 იანვარი. კამერუნი — კოტ დივუარი*

#### B ჯგუფი

**გაბონი 1:3 სამხრეთ აფრიკა**

1:0 ნჟიგუ (21), 1:1 ნგობე (43), 1:2, 1:3 ბარტლეტი (55, 78)

გაბონი: დეკუსუ, ნზენგი, მუიუმა, ამეგასე, ენდო, ოგანდაგა, ნჟიგუ, მბანანგოი, ლონდო (ნსი-აკუე 61), ნგუემა, კუსინი

სამხრეთ აფრიკა: არენდსე, რადებე, ფიში, ისა, ფორჩუნი (ლეკოელა 73), მოშოუ, მკალელე, ნგობე, ტინკლერი, ბარტლეტი, ნომვეტი (ნდლანია 79)

**ალჟირი 0:0 კონგოს დრ**

*II ტური. 27 იანვარი. ს. აფრიკა — კონგოს დრ; 29 იანვარი. გაბონი — ალჟირი*

#### C ჯგუფი

**ეგვიპტე 2:0 ზამბია**

1:0 რადვანი (37), 2:0 ჰ. ჰასანი (50)

ეგვიპტე: ნ. ელ საიედი, ი. ჰასანი, ომარა, ხაშაბა, ელ საკა, რადვანი (ა. ჰასანი 78), ტ. საიდი, ი. საიდი, აბდელაზიზი, ჰ. ჰასანი, ჰოსნი (ალი 90)

ზამბია: პირი, ჩილემბი, ლიტანა, სიკონე, ტანა, მვანზა, ლოტა, ბვალია, ტემბო, სინკალა, მიტი

**ბურკინა ფასო — სენეგალი**

გაიმართება 25 იანვარს

*II ტური. 28 იანვარი. ეგვიპტე — სენეგალი; 29 იანვარი. ზამბია — ბურკინა ფასო*

#### D ჯგუფი

**ნიგერია 4:2 ტუნისი**

1:0 ოკოჩა (28), 1:1 აზაიეზი (48), 2:1 ოკოჩა (58), 3:1, 4:1 იკპება (69, 72), 4:2 სელიმი (91)

ნიგერია: შორუნმუ, ოკუნოვო, ბაბაიარო, ოლისე, ვესტი, იენემი, ლავალი, ფინიდი, ოკოჩა, კანუ, იკპება

ტუნისი: ელ ქუარი, ბადრა, ტრაბელსი, ბუკადიდა, ხოდბანე, ჩიჰი, ჯაიდი, ტაბეტი, ჯაზირი, ბაია, სელიმი

*მოცემულია სასტარტო შემადგენლობები*

**მაროკო — კონგო**

გაიმართება 25 იანვარს

*II ტური. 28 იანვარი. ნიგერია — კონგო; 29 იანვარი. ტუნისი — მაროკო*

**შაბათს** აფრიკის თასის გათამაშება დაიწყო. ოთხ მატჩში 14 გოლი გავიდა. ყველაზე საინტერესო კი მათ ავტორთა ვინაობაა. საქმე ისაა, რომ 12 ბურთი ევროპაში მოთამაშე ფეხბურთელთა ანგარიშზეა. თუმცა თავიდან მოვყვეთ.

კამერუნელებმა კარგად დაიწყეს თამაში და ტურნირის მასპინძელ განას სიმწრის ოფლიც გვარიანად აღვრევინეს. ჟოზეფ დეზირე ჟობმა და პატრიკ მბომამ ლამის მეტოქის კარის ხაზზე მყოფებმა ვერ დაარტყეს ზუსტად, შეცვლაზე შესულმა სამუელ ეტოომ ძელსაც გაარტყა. ანგარიში კი ვესტ ჰემელმა მარკ ვივიენ ფოემ გახსნა. ის მასპინძელთა ორ მცველს დაუძვრა და ძელიდან ასხლეტილ ბურთს პირველმა მიუსწრო. განელები ამაოდ ცდილობდნენ საპასუხო ბურთის გატანას და რომ არა სპორტინგელი თავდამსხმელი კვამე აევუ, თანამემამულეთა რისხვას ვერ გადაურჩებოდნენ.

მატჩის შემდეგ კამერუნელთა კაპიტან რიგობერტ სონგს უთქვამს, უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ვიმყოფებოდით, შემდგომ მატჩებში ამდენ ხელსაყრელ მომენტს არ გავაფუჭებთო.

საინტერესოა, რომ აფრიკის თასის 43-წლიან ისტორიაში პირველი მატჩი ფრედ მხოლოდ მეოთხედ დასრულდა.

ჯერჯერობით ყველაზე უხვგოლიანი ნიგერია-ტუნისის შეხვედრა გამოდგა. ვიქტორ იკპებამ და აუგუსტინ ოკოჩამ „არწივთა“ გულშემატკივრების გარდა „დორტმუნდის“ და პსჟ-ს ქომაგებიც გაახარეს. მათ ორ-ორი ბურთი შეაგდეს და ტურნირის ბომბარდირებიც არიან. ტუნისელთაგან ერთი ვალიდ აზაიეზიმ გაიტანა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში ფრაიბურგელმა ადელ სელიმიმაც იხეირა, თუმც ეს გოლი უკვე აღარაფერს წყვეტდა.

გაბონი—სამხრეთ აფრიკის მატჩი მოულოდნელად დაიწყო. თასის გათამაშების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელმა, 16 წლის გაბონელმა შივა ნჟიგუმ, რომელიც „ნანტში“ თამაშობს, თავისიანები დააწინაურა. სენსაცია არ მოხდა. ციურიხელი შონ ბარტლეტი ორი გატანილი გოლით იკპებას და ოკოჩას გაუსწორდა, მესამე კი გენჩლერბირლიგელმა დუმისა ნგობემ შეაგდო.

ეგვიპტელთა ფრანგი თავკაცი ჟერარ ჟილი ზამბიასთან მატჩის შემდეგ ტრაბახობდა, წინასწარმეტყველი როდი ვარ, თუმცა ნამდვილად ვიცოდი, ჩემი ბიჭები რომ მოიგებდნენო. ეგვიპტის ნაკრები ჯერჯერობით ერთადერთია, ვინაც საკუთარი კარი მშრალად შეინახა. გოლები კი ჰანზელმა იასერ რადვანმა და ვეტერანმა ჰოსამ ჰასანმა გაიტანეს. ამ უკანასკნელს ბომბარდირული თვისებები ასაკმა ვერ წაართვა. ორი წლის წინ ის ბენი მაკკარტისთან ერთად 7 ბურთით საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ.

**გიორგი დარჯანია**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

საფრანგეთი. I დივიზიონი. 23-ე ტური

25 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ტრუა-მარსელი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 002 | მეცი-მონაკო | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 26 იანვარი | | | |
| 003 | მონპელიე-ნანსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 004 | ბასტია-სედანი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 005 | ლანსი-ლე ავრი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 006 | ლიონი-ბორდო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 007 | პსჟ-სტრასბური | 1,4 | 3,5 | 7.0 |
| 008 | პსჟ-სტრასბური 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 009 | რენი-ნანტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 010 | სენტ ეტიენი-ოსერი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

საფრანგეთი. II დივიზიონი. 24-ე ტური

26 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 011 | ტულუზი-სოშო | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 012 | ტულუზი-სოშო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 013 | აიაჩო-გენგამი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| 014 | ნიცა-ლავალი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 015 | კრეტეი-ნიმი | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| 016 | კაენი-კანი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 017 | ლე მანი-ვალანსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 018 | ლე მანი-ვალანსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 019 | ნიორი-ლორიანი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 020 | ვასკეალი-გენიონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 021 | ლუანი-ლილი | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| 022 | შატორუ-ამიენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

შოტლანდია. გადადებული მატჩები

26 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 023 | დანდი-კილმარნოკი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 024 | აბერდინი-მოზერველი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

ინგლისი. ლიგის თასის 1/2 ფინალი. I მატჩი

25 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 025 | ასტონ ვილა-ლესტერი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

ინგლისი. ლიგის თასის 1/2 ფინალი. II მატჩი

26 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 026 | ტრანმერი-ბოლტონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

იტალია. თასის 1/4 ფინალი. II მატჩები

25 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 027 | კალიარი-რომა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 26 იანვარი | | | |
| 028 | ფიორენტინა-ვენეცია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 029 | ლაციო-იუვენტუსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 27 იანვარი | | | |
| 030 | ინტერი-მილანი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

პორტუგალია. თასის 1/8 ფინალი

25 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 032 | გიმარაეში-ჟილ ვისენტე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 26 იანვარი | | | |
| 031 | ბენფიკა-სპორტინგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 033 | ბოავიშტა-ფელგეირაში | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 034 | რიუ ავე-ნავალი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 035 | აკადემიკა-მორეირენსე | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 036 | ამადორა-დრაგაშში | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 037 | სალგეირუში-ფაფე | 1,15 | 5,6 | 10,0 |

ბელგია. ლიგის თასის 1/4 ფინალი

26 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 038 | ლიერსი-ბრიუგე | 2,5 | 2,9 | 2,5 |

ესპანეთი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი

26 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 039 | რეალი-ბეტისი | 1.5 | 3,3 | 6.0 |

ჰოლანდია. გადადებული მატჩი

26 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 040 | ვიტესი-დენ ბოსხი | 1,25 | 4.4 | 8.0 |
| 041 | ვიტესი-დენ ბოსხი 0:1 | 1,8 | 3.3 | 2.8 |

აფრიკის თასი

25 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | ბურკინა ფასო-სენეგალი | 2,5 | 2.9 | 2.5 |
| 502 | მაროკო-კონგო | 1.3 | 4,0 | 7.5 |
| | 27 იანვარი | | | |
| 503 | განა-ტოგო | 1.15 | 5.6 | 10.0 |
| 504 | საფრიკა-დრ კონგო | 1,7 | 3.1 | 4.4 |

ამხანაგური მატჩი

26 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 505 | ესპანეთი-პოლონეთი | 1,3 | 4.0 | 7.5 |

კალათბურთი. NBA

25 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | ვაშინგტონი-ნიუ იორკი | 2,5 | 12.0 | 1,35 |
| 802 | მაიამი-ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3.5 |
| 803 | შარლოტი-საკრამენტო | 1,6 | 12.0 | 1.8 |
| 804 | ატლანტა-ჩიკაგო | 1,2 | 12.0 | 3.5 |
| 805 | კლივლენდი-დეტროიტი | 1,7 | 12,0 | 1.7 |
| 806 | ინდიანა-ფინიქსი | 1,35 | 12,0 | 2.5 |
| 807 | დალასი-გოლდენ სტეიტი | 1,25 | 12,0 | 3.1 |
| 808 | ჰიუსტონი-მინესოტა | 1,7 | 12.0 | 1.7 |
| 809 | სან ანტონიო-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7.5 |
| | 26 იანვარი | | | |
| 810 | ფილადელფია-ფინიქსი | 1,6 | 12,0 | 1.8 |
| 811 | ორლანდო-ბოსტონი | 1,5 | 12,0 | 2.0 |
| 812 | ტორონტო-ვაშინგტონი | 1,2 | 12,0 | 3.5 |
| 813 | მილუოკი-საკრამენტო | 1,7 | 12,0 | 1.7 |
| 814 | იუტა-ვანკუვერი | 1,05 | 12.0 | 7.5 |
| 815 | სიეტლი-ნიუ ჯერსი | 1.15 | 12.0 | 4.0 |
| | 27 იანვარი | | | |
| 816 | შარლოტი-დეტროიტი | 1,3 | 12,0 | 2.8 |
| 817 | კლივლენდი-ორლანდო | 1,55 | 12,0 | 1.9 |
| 818 | დალასი-კლიპერსი | 1,3 | 12,0 | 2.8 |
| 819 | ჰიუსტონი-გოლდენ სტეიტი | 1,2 | 12,0 | 3.5 |
| 820 | სან ანტონიო-მინესოტა | 1,2 | 12.0 | 3.5 |
| 821 | პორტლენდი-იუტა | 1,3 | 12,0 | 2.8 |
| 822 | ვანკუვერი-ნიუ იორკი | 2,5 | 12.0 | 1.35 |

ჰოკეი. NHL

25 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 823 | ბუფალო-ტამპა ბეი | 1,3 | 4,4 | 4.0 |
| 824 | პიტსბურგი-რეინჯერსი | 1,7 | 4,4 | 2.4 |
| 825 | კაროლინა-ფინიქსი | 2,0 | 4.4 | 2.0 |
| 826 | ვანკუვერი-ედმონტონი | 1,9 | 4.4 | 2.1 |
| 827 | სან ხოსე-კოლორადო | 2,0 | 4.4 | 2.0 |
| | 26 იანვარი | | | |
| 828 | ოტავა-სენტ ლუისი | 1,9 | 4,4 | 2.1 |
| 829 | ვაშინგტონი-კალგარი | 1,8 | 4.4 | 2.2 |
| 830 | ატლანტა-ფინიქსი | 2,4 | 4,4 | 1.7 |
| 831 | ფლორიდა-ნიუ ჯერსი | 1,9 | 4,4 | 2.1 |
| 832 | დეტროიტი-ტორონტო | 1,7 | 4.4 | 2.4 |
| 833 | დალასი-ლოს ანჯელესი | 1,6 | 4.4 | 2.7 |
| 834 | ანაჰაიმი-აილენდერსი | 1.3 | 4.4 | 4.0 |
| | 27 იანვარი | | | |
| 835 | ბოსტონი-მონრეალი | 1,7 | 4,4 | 2.4 |
| 836 | რეინჯერსი-ტორონტო | 2,0 | 4.4 | 2.0 |
| 837 | ფილადელფია-ფლორიდა | 1,7 | 4.4 | 2.4 |
| 838 | პიტსბურგი-ატლანტა | 1,25 | 4,4 | 4.4 |
| 839 | ჩიკაგო-კოლორადო | 2,2 | 4,4 | 1.8 |
| 840 | ნეშვილი-ლოს ანჯელესი | 2,0 | 4.4 | 2.0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასაჯე თავი შენი


REUTERS მელბურნიდან

მარი პირსი

კაცები. მესამე წრე: ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:3, 6:3, 6:4; ნიკოლას კიფერი (4, გერმანია) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:3, 6:4, 6:2; მაგნუს ნორმანი (12, შვედეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 6:4, 7:6 (10:8); ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:2, 7:5, 6:3; უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:3, 6:4, 3:6, 6:3; არნო კლემანი (საფრანგეთი) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 6:1, 6:4, 6:3; იუნეს ელ აინაუი (მაროკო) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 7:6 (7:3), 4:6, 4:6, 7:6 (7:5), 6:4.

ქალები. მესამე წრე: მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:2, 6:3; სერენა უილიამსი (3, აშშ) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:2, 7:6 (7:2); ბარბარა შეტი (6, ავსტრია) — ფლორენსია ლაბატი (არგენტინა) 6:1, 6:3; კონჩიტა მარტინესი (10, ესპანეთი) — ელენა კოსტანიჩი (სლოვაკეთი) 6:4, 6:4; სანდრინ ტესტიუ (12, საფრანგეთი) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 4:6, 7:5, 6:2; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (13, ესპანეთი) — ბრაიან სტიუარტი (ავსტრალია) 7:5, 6:1; ელენა ლიხოვცევა (16, რუსეთი) — ელს კალენსი (ბელგია) 5:7, 7:6 (7:5), 6:3.

ავსტრალიის ღია პირველობის მერვედფინალში ქალთა შორის გამარჯვების ერთბაშად ორმა ფავორიტმა დაასრულა ასპარეზობა.

სერენა უილიამსისთვის სეზონის პირველ „მეიჯორზე" როგორღაც თავიდანვე არ აეწყო საქმეები კარგად. მესამედ განთესილი ამერიკელი ჯერ საერთოდ არ აპირებდა მელბურნში ჩასვლას, მერე გადაწყვეტილება შეცვალა, მაგრამ მწვანე კონტინენტზე თითქმის მოუმზადებელი და სამი თვის უთამაშევი გამოცხადდა.

სათამაშო პარქტიკის უქონლობა უმცროს უილიამსს წინა სამ შეხვედრაშიც ეტყობოდა, მაგრამ საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულებისთვის მხოლოდ მერვედფინალში დაისაჯა 24 წლის რუს ელენა ლიხოვცევას (16) მიერ.

„ამ მატჩის წაგება არ მეპატიება. მთელი შეხვედრის მანძილზე საკუთარ რიტმს ვერაფრით მივაგენი, არც ის ვიცი, ამდენი შეცდომა რატომ დავუშვი. შეიძლება ზედმეტად ბევრს ვფიქრობდი" — განაცხადა მოგვიანებით განერვიულებულმა ამერიკელმა, რომელსაც ატირებას არაფერი უკლდა.

სერენა საცოდავი გამომეტყველებით იცქირებოდა ზევით, ხელის მტევნებს თითქოს ლოცვის ნიშნად აერთებდა, გამუდმებით ესაუბრებოდა თავის თავს, გაჯიუტებულ ჩოგანს, მაგრამ მისი დარტყმული ბურთები მაინც ბადის ქვედა ნაწილში ლაფავდნენ სულს.

თავიდან 3:1-ით დაწინაურებულ უილიამსს მოულოდნელად თითქოს მთელი ძალა გამოეცალა დამაშინებლად დაკუნთული მხარბეჭიდან და ზედიზედ 8 გეიმი წააგო. ლიხოვცევა, როგორც წესი, მოთმინებით ელოდა მეტოქის შეცდომებს, მაგრამ ამავე დროს კონტრშეტევებსაც არ ერიდებოდა და მეორე მოწოდებებს, ან მოკლე ბურთებს მაშინვე უღებდა ბოლოს.

საბოლოოდ რუსმა 6:3, 6:3 მოიგო და კარიერაში პირველად გააღწია დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალში: „სიმართლე გითხრათ, თავად არც მჯეროდა, რომ მისი დამარცხება შემეძლო, მაგრამ ჩემმა მეუღლემ და მეგობრებმა მომცეს რწმენა. სერენას ტაქტიკა კარგად ვიცი და ეს გამოვიყენე კიდეც, თუმცა ის დღეს ჩვეულზე გაცილებით ცუდად თამაშობდა."

უილიამსმა პრესკონფერენციაზე კოლეგებს ბრალი დასდო, ჩემს წინააღმდეგ ყველა თავს იგიჟებს, მერე კი სუსტებთან აგებენო, თუმცა საბოლოოდ მაინც თავის თავს გაუწყრა: „საკუთარ თავს იმით დავსჯი, რომ დიზაინის სკოლაში რაც საშინაო დავალება მაქვს გასაკეთებელი, სულ დღეს და ხვალ დავასრულებ. 38 ნახაზი უნდა ჩავაბარო."

კვირას დამარცხდა ავსტრალიის ღია პირველობის ყოფილი გამარჯვებული მარი პირსიც (4). ტანმშვენიერი ფრანგი თავისთვის მეტად უხერხულ მეტოქე აი სუგიამას გადაეყარა და ჩია, მაგრამ სწრაფ იაპონელთან ბოლო ერთი წლის მანძილზე მესამედ წააგო 5:7, 4:6.

ტურნირის ყველაზე საინტერესო შეხვედრა კი კვირას, როდ ლეივერის სახელობის ცენტრალურ კორტზე გაიმართა: მსოფლიოს პირველი ჩოგანი ანდრე აგასი მასპინძელთა ჯილის, მარკ ფილიპუსისის (16) წინააღმდეგ.

ბადის ერთ მხარეს ცხოველური ძალა და ტყვიასავით მოწოდებები, მეორე მხარეს — ხუთგზის დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებულის სტაბილურობა და სიზუსტე, უკანა ხაზიდან ხანგრძლივი და მძაფრი გათამაშებები — საუკეთესო საჩოგბურთო სპექტაკლი.

თავისებური ჭიდილი იყო ტრიბუნებზეც: თუ აგასის ლეგენდარული გელფრენდი შტეფი გრაფი და მწვრთნელი ბრედ ჯილბერტი ქომაგობდნენ თავგამოდებით და ლამის თითოეულ ქულას ხელისგულების მირტყმით აღნიშნავდნენ, მახლობლად ფილიპუსის ბანაკში უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი პატ კეში და ანა კურნიკოვა იწყვეტდნენ ხმის იოგებს.

ფილიპუსისი არაფრით ჩამორჩა სახელოვან მეტოქეს და თავისი უმუხრუჭო აგრესიული სტილის ნაცვლად უფრო გააზრებული და მომთმენი ჩოგბურთი ითამაშა. ბადესთან მოუმზადებლად გავარდნის ან ბურთის თავიდანვე მთელი ძალით დარტყმის ნაცვლად ის თავის შანსს ელოდა და მხოლოდ ამის შემდეგ გადადიოდა შეტევაზე.

„მარკთან თამაში კარგ ფორმაში მყოფ მაიკ ტაისონთან კრივს მაგონებს: უძალიანდები, გგონია, რომ ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ ერთი დარტყმა და შენ უკვე წარსული ხარ. დღეს მთელი ძალ ის მობილიზება იყო საჭირო, რომ მ თვის თავის დაჩაგვრის შანსი არ მიმეცა" — განაცხადა შეხვედრის შემდეგ აგასიმ.

მატჩის ბედი კი მეორე სეტის ტაიბრეიკზე გადაწყდა. ფილიპუსისი ჯერ 4:1-ით დაწინაურდა, მაგრამ მერე ზედიზედ ექვსი ქულა წააგო და წყობიდან გამოსულმა ჩოგანი ნაწილებად დაფშვნა.

„ისე გავბრაზდი, აუცილებელი იყო მთელი ბოღმა რაიმეზე გადმომენთხია, თორემ ვინმე შემომაკვდებოდა. ასე რომ, ჯობდა, ეს ჩოგანი ყოფილიყო" — ახსნა სკადმა. „ამ ბიჭს შეუძლია ჩოგანი კბილის საჩიჩქნ ჯოხად აქციოს. ვიფიქრე, კიდევ კარგი, რომ ჩოგანი არ ვარმეთქი" — ეს გადარჩენილი აგასის სიტყვებია.

ფილიპუსისი არ დანებებულა და ტურნირზე პირველმა ხოტორა ამერიკელს სეტიც მოუგო, თუმცა მერე ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომით დაილუპა თავი და მშობლიურ ტურნირზე ისევ მერვედფინალზე გაიყინა — 6:4, 7:6 (7:4), 5:7, 6:3 აგასის სასარგებლოდ.

გუშინ კი ტურნირი საერთოდ უმასპინძლოდაც დარჩა — შვედმა მაგნუს ნორმანმა ტურნირს შემორჩენილი უკანასკნელი ოზი, ზედიზედ 13 მატჩის მომგები ლეიტონ ჰიუიტი დაამარცხა 6:3, 6:1, 7:6 (8:6).

კაცები. მერვედფინალი: პიტ სამპრასი (3, აშშ) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 6:1, 6:2, 3:6, 6:1; კრის ვუდრაფი (აშშ) — ტიმ ჰენმანი (11, ინგლისი) 7:5, 1:6, 6:4, 3:6, 7:5; ჰიშამ არაზი (მაროკო) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:4, 6:3, 7:6 (9:7); ევგენი კაფელნიკოვი — კრისტოფ როშიუ (ბელგია) 6:1, 6:3, 7:5; ნიკოლას კიფერი — უეინ ფერერა 6:3, 6:4, 6:2; იუნეს ელ აინაუი — არნო კლემანი 3:6, 6:3, 6:4, 3:6, 10:8.

ქალები. მერვედფინალი: მარტინა ჰინგისი — სანდრინ ტესტიუ 6:1, 7:6 (7:3); ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ანა კურნიკოვა (11, რუსეთი) 6:4, 6:3; ჟული ალარი (9, საფრანგეთი) — იანა კანდარი (გერმანია) 6:1, 3:0, ტრავმა; ჯენიფერ კაპრატი (აშშ) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 6:3, 4:6, 6:1; არანჩა სანჩეს-ვიკარიო — ბარბარა შეტი 1:6, 6:0, 7:5; კონჩიტა მარტინესი — კრისტინა ბრანდი (აშშ) 6:1, 6:1.

ავთანდილ სვანიძე


REUTERS მელბურნიდან

ანდრე აგასი

## სხვადასხვა


REUTERS მელბურნიდან

ქარიმ ალამი

**როგორც** უკვე გაუწყეთ, მთელი ავსტრალიის ბულვარული პრესა ამჟამად ანა კურნიკოვასა და მარკ ფილიპუსისის რომანზე საუბრობს, რასაც თავად ჩოგბურთელები სასტიკად უარყოფენ. ჭორების საფუძვლად თავდაპირველად ის გამოიყენეს, რომ 18 წლის რუსი მელბურნში „სკადის" ყველა მატჩს ესწრებოდა.

და აი, შაბათს კურნიკოვა უკვე მსოფლიოს მეოთხე ჩოგნის, ნიკოლას კიფერის შეხვედრის საცქერად გამოცხადდა ტრიბუნაზე. ქარიმ ალამისთან მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ცნობისმოყვარე ჟურნალისტებმა გერმანელს ამის თაობაზე კითხვა არ დაუგვიანეს.

„ჩვენ შეყვარებულები ვართ — მიუკიბ-მოუკიბავად გაანდო კიფერმა იქ მყოფთ, თუმცა მცირე პაუზის შემდეგ პირდაღებულ შეკითხვის დამსმელს მიუბრუნდა — მართლა კი არა, ვიხუმრე. ჩემი ნამდვილი გელფრენდი ძალიან გამინაწყენდება, თუ ამას დაწერთ. ანა და მე უბრალოდ მეგობრები ვართ და იქნებ ოდესმე შერეულ წყვილებშიც ვითამაშოთ ერთად".

შარშან კურნიკოვა ეკვადორელ ნახევარფინალისტ ნიკოლას ლაპენტის უჭერდა მხარს ტრიბუნებიდან. რუსის უცოლველი განმარტებით, მას მწვრთნელმა ეროკ ვან ჰარპენმა ურჩია კაცების შეხვედრების ცქერა და მათგან იდეების გადმოღება.

* * *

**ზემოხსენებულ** ქარიმ ალამის მელბურნში წარმატებულ ასპარეზობასა და სახელოვანი მეტოქეების დამარცხებაზე მეტად თავისი ახლად დაბადებული ვაჟიშვილი ანაღვლებდა.

ალამის ბრაზილიელ გელფრენდ ნატალის გასულ ორშაბათს რამდენიმე ათასი მილის დაშორებით, სან პაულოში პირველი შვილი, რეიენი შეეძინა. პირმშოს დაბადებას წყვილი თვის დასაწყისში ელოდა და 26 წლის მაროკოელმაც მხოლოდ თავად ნატალის თხოვნით, ბოლო წუთს გადაწყვიტა მელბურნში გამგზავრება, რაც მერე სანანებლად გაუხდა.

... „ვცდილობ, ყურადღება ჩოგბურთზე გავამახვილო, მაგრამ ამ წუთისთვის ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კი არა, მეორეხარისხოვანი რამ არის. თითქმის არ მძინავს, ყოველ სამ-ოთხ საათში სან პაულოში ვრეკავ. თამაში ძალიან ძნელია, მით უმეტეს, როცა ასე შორს ვიმყოფები".

ალამიმ, რომელსაც კარიერაში ორი ტიტული მოუგია და შორეულ 1994-ში თვით პიტ სამპრასიც კი დაუმარცხებია დოჰაში, ნატალი 1991 წელს, ბრაზილიაში გაიცნო. მათი ხანგრძლივი რომანი შარშან ქორწინებით დაგვირგვინდა.

მაროკოელი მელბურნში გამუდმებით ამოწმებდა თვითმფრინავების ფრენის განრიგს და თავისი მატჩების შემდეგ პირველივე რეისებზე ბრაზილიაში ბილეთსაც ჯავშნიდა. ასეთ ყოფას ალამიმ ორი შეხვედრის მანძილზე გაუძლო, მესამე წრეში ნიკოლას კიფერთან წაგების მერე კი შვებით ამოისუნთქა და „მელბურნპარკიდან" პირდაპირ აეროპორტში გაემგზავრა.

ალამებს სპორტული გენები აქვთ —ქარიმის მამა ომარი თავის დროზე პროფესიონალი კალათბურთელი იყო და შვეიცარიაში ასპარეზობდა, თუმცა ჩოგბურთელი ამბობს, რომ მისმა შვილმა ცხოვრების გზა თავად უნდა აირჩიოს: „რაც თავად მოუნდება, იმას გააკეთებს. თუ რაიმე სხვა სპორტს აირჩევს, რაც ამის წინააღმდეგი ვიქნები".

* * *

**ასპარეზობის** პირველი კვირის შემდეგ სეზონის პირველი დიდი სლემის ტურნირში მოწოდების სიჩქარეების მიხედვით მასპინძლები ლიდერობენ.

ტრავმირებული გრეგ რუზეცკის არყოფნაში კაცებში პირველობა ზორბა მარკ ფილიპუსისმა გადაიბარა. „სკადის" ყველაზე სწრაფი ყუმბარა როდ ლეივერის სახელობის ცენტრალურ კორტს 221 კმ-სთ სიჩქარით დაეცა.

მეორე ადგილს ერთბაშად ორი ჩოგბურთელი ინაწილებს. ავსტრალიელი უეინ არტურსიც და გერმანელი იენს კნიპშილდიც პირველივე წრეში დამარცხდნენ შესაბამისად მსოფლიოს მესამე და მეორე ჩოგნებთან — პიტ სამპრასთან და ევგენი კაფელნიკოვთან, მაგრამ ამ მცირე დროში ღირებულის გაკეთება მაინც მოასწრეს. მათი მოწოდების მაქსიმალური სისწრაფე 218 კმ-სთ იყო.

კაცების არ იყოს, ქალებსაც აკლიათ თავიანთი რეკორდსმენი — ამერიკელი ვინუს უილიამსი. შავი ვენერას არყოფნაში ახალგაზრდა ავსტრალიელი ალისია მოლიკი ლიდერობს მაჩვენებლით 187 კმ-სთ.

მეორე ადგილზე ვინუსის უმცროსი დაიკო სერენაა. აშშ-ის ღია პირველობის გამარჯვებულის ყველაზე სწრაფი მოწოდება 181 კმ-სთ სიჩქარის იყო.

* * *

**ამერიკელი** ჟან-მაიკლ გემბილი მალე იქ გაემგზავრება, სადაც აქამდე არც ერთ ჩოგბურთელს და სავსებით შესაძლებელია, არც ერთ სპორტსმენსაც კი არ დაუდგამს ფეხი.

ATP-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სპორტული მანქანა „იაგუარის" თავგადაკლულ ფანატსა და კოლექციონერ ამერიკელს ცოტა ხნის წინ როლი შესთავაზეს პოპულარულ სატელევიზიო სერიალში „ვარსკვლავური გზა ვოიჯერი".

სატელევიზიო სერიალი, ისევე, როგორც ამავე სახელწოდების სხვა ფილმები მოგვითხრობს კოსმოსური ხომალდის თავგადასავლებზე შორეულ მომავალში, იმაზე თუ როგორ იცავს მისი ეკიპაჟი კაცობრიობას და სხვა ღაჩაგრულ უცხოპლანეტურ ცივილიზაციებს.

ისე, გასული წლის ბოლოს კლასიფიკაციით 58-ე გემბილს რეალობიდან მცირე ხნით გაქცევა არ აწყენდა — მიმდინარე სეზონში მან ჯერჯერობით ვერაფრით გამოიჩინა თავი და ავსტრალიის ღია პირველობაზეც პირველივე წრეში დამარცხდა ზიმბაბველ უეინ ბლექთან.

# მაკაბიმ ჩემპიონს ვიცეჩემპიონიც მიაყოლა!

საქართველოს ჩემპიონატი 14 ტური

ვერის ბაღი. 23 იანვარი

**სდასუ 67:69 სტუ**

I ტაიმი 34:26

**სდასუ:** ხოშტარია (33), გ. ჩხეიძე (5), უძილაური (12), ლ. აბულაძე (8), მაჭარაძე (9); არჩვაძე

**სტუ:** თორთლაძე (11), ტულუში, ჩუბინიძე (14), ორმოცაძე (23), ოთიურიძე (9); კორძაძე (2), დ. მოისწრაფიშვილი (2), მინაშვილი, ლოსაბერიძე (6), მიქაძე (2)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

საქართველოს ჩემპიონატი 14 ტური

ვერის ბაღი. 23 იანვარი

**შევარდენი 72:94 ბასკო**

I ტაიმი 37:47

**შევარდენი:** ორჯონიკიძე (6), შ. გაგნიძე (3), მაჭავარიანი (22), გიგაური (21), ნუცუბიძე (9); თაბუაშვილი (4), ალავიძე (7), ა. მოსიწრაფიშვილი

**ბასკო:** აბრამიძე (20), დავითულიანი (6), ბეჟანიშვილი (4), ვ. კილაძე (11), ქარაბაკი (35); მაისურაძე (9), კვაჭაძე (4), კეშელავა, ბერია (3), ჭეიშვილი (2)

**მსაჯები:** დავით ანდრიაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

საქართველოს ჩემპიონატი 14 ტური

ვერის ბაღი. 23 იანვარი

**ვითა 105:79 ასკ**

I ტაიმი 41:52

**ვითა:** უსტიაშვილი (12), გ. გაგნიძე (18), შანიძე (15), ქევხიშვილი (24), ახალკაცი (18); ტ. ვაშაკიძე (12), ჭირაქაძე (6)

**ასკ:** მარხვაშვილი (7), ნათობაძე (12), ზანგურაშვილი (10), ფანჯიკიძე (2), ბახტაძე (15); ჯანელიძე (4), საყვარელიძე (14), მ. მარკოიშვილი

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, ლაშა თოიძე

**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე



სდასუ — სტუ 67:69. სტუ-ელი დავით თორთლაძე (№7) და შოთა უძილაური

გიორგი ბიკაშვილი

ამა თუ იმ შეხვედრის ბედსა და შინაარსს მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, წვრილმანიც და მსხვილმანიც. სათქმელი უფრო კონკრეტული და გასაგები რომ გახდეს, ამისათვის აუცილებლად ახსნა-განმარტებაა საჭირო.

მაშ, კარგი. რა არის წარმატების წინაპირობა? — შეუძლებელია, ამ კითხვის პასუხი თანმიმდევრულად ჩამოაყალიბო, გარკვეულ მიზეზთა გამო ვერც ამომწურავი იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი შესავლის საჭიროებაშიც ვერ გარკვეულა ჯერ მკითხველი.

ალბათ დროა, მეტი სიცხადე შევიტანოთ ჩვენს მიერ წამოჭრილ საკითხში — ვალდებულნი ვართ, გაგიმხილოთ: მეთოთხმეტე ტურის ცენტრალური შეხვედრა, სდასუ-სტუ-ს დაპირისპირება ქცეულა ჩვენი მსჯელობის საგნად.

იმისათვის, რომ ერთმა გუნდმა აჯობოს მეორეს, აუცილებლად უკეთესი მომზადებული, უბრალოდ რომ ვთქვათ, კარგი ნავარჯიშევი უნდა იყოს. ისეც ხშირად ხდება, რომ უვარჯიშებელი გუნდი კლასის ხარჯზე ამარცხებს მეტოქეს, მაგრამ ეს სულ სხვა თემაა.

იმ შემთხვევაში, თუ მეტოქეები სრულფასოვნად არიან მომზადებულნი, დიდ როლს თამაშობს კონკრეტული შეხვედრის მნიშვნელობა ამა თუ იმ გუნდისთვის. თუ მატჩი ორივე მხარისთვის პრინციპულია და გუნდებიც ყოველმხრივ მობილიზებულნი არიან, მაშინ მათი უნარი, მაქსიმუმი, შესაძლებლობათა ზღვარი უნდა გავიაზროთ და გავითვალისწინოთ.

ალბათ დამეთანხმებით, რომ მეტოქეთა თანაბარძალიანობის შემთხვევაში ცოტა იღბალიც საჭიროა, იმდენად, რომ მასზე არც ერთი ჭკუათმყოფელი იტყვის უარს.

სულ ბოლოსთვის კი შეგნებულად მოვიტოვეთ ყველაზე მთავარი — მწვრთნელის ფენომენი.

მოდით, ახლა ბოლოდან მივყვეთ და ზემოთ ჩამოთვლილი ვარაუდები სათითაოდ, რაც მთავარა, უფრო კონკრეტულად მიმოვიხილოთ.

მწვრთნელის ხელი, როგორც ასეთი, სდასუ-ს მეტად ეტყო, ვიდრე სტუ-ს. საბოლოო ჯამში ტექნიკოსთა თავკაცი, ნუგზარ ჭეიშვილი დარჩა მოგებული, გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენ...

ახლა დროებით დავივიწყოთ ძველთა ეს ნათქვამი და ვაღიაროთ, რომ სტუ-ს გაცილებით დიდი პოტენცია გააჩნია, ვიდრე ეს სდასუ-სთან მატჩში წარმოჩინდა. შემადგენლობის თვალსაზრისით ნუგზარ ჭეიშვილს შეუდარებლად დიდი არჩევანი აქვს და წესით, არც უნდა გასჭირვებოდა ისეთი მოწინაალმდეგის ძლევა, რომელიც პრაქტიკულად შეუცვლელად თამაშობს. ფაქტი კი ერთია, უკანასკნელ წამს გამოსტაცა სტუ-მ სდასუ-ს ორი ქულა, რასაც იღბალს და დავით თორთლაძის მარჯვენას უნდა უმადლოდეს. თამაშის სცენარიდან გამომდინარე კი, ვფიქრობთ, სდასუ მეტად იმსახურებდა გამარჯვებას.

ლევან მოსეშვილის მიერ არჩეული ტაქტიკა შეუმცდარი იყო. დამარცხების მიუხედავად, მისი თვითოეული ქმედება გამართლებული გახლდათ, რადგან მან მაქსიმუმი გამოადნო თავისი შეგირდებისგან, რასაც ვერაფრით ვიტყვით მის მეტოქე კოლეგაზე.

ერთი, რაც უეჭველად აქტივში ჩაეწერება ჭეიშვილს, ისაა, რომ სდასუ-ს გამთამაშებელსა და ლიდერს, იმ დღეს ჩინებულად მოთამაშე ირაკლი ხოშტარიას მან ტანმაღალი ზურაბ ჩუბინიძე მიუჩინა მეურვედ. ამან კი გაამართლა, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა გაცილებით ადრე იყო საჭირო, რადგან მთელი პირველი ტაიმის მანძილზე სტუ-ს უკანახაზელები აშკარად იჩაგრებოდნენ ხოშტარიასთან ბრძოლაში. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სდასუ-ს მიერ მოგროვებული ქულებიდან თითქმის ნახევარი (33) სწორედ ხოშტარიამ გააზრხა, მივხვდებით, რომ მოსეშვილის გუნდის თამაში მთლიანად ირაკლიზე ყოფილა აგებული, სერიოზული მიზნების მქონე და სოლიდურად დაკომპლექტებული გუნდისთვის კი ცალკეული მოთამაშის ინდივიდუალური სიძლიერე აღმოუფხვრელ პრობლემად არ უნდა შეიქმნას.

სტუ-ს ერთი წუთითაც არ ამართლებს საბოლოო გამარჯვება, რადგან სდასუ-ს ძირითად ხუთეულს ერთი სრულფასოვანი სათადარიგოც რომ შეშველებოდა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სულ სხვაგვარად განვითარდებოდა მოვლენები.

შეხვედრის დებიუტი მსაჯთა ხშირი სასტვენების თანხლებით წარიმართა. მეტოქეები ძალიან უხეშობდნენ და არბიტრებსაც მალიმალ უწევდათ საქმეში ჩარევა. ანგარიშიც პერსონალურის ხაზიდან ორმოცაძემ გახსნა, მისგან განსხვავებით, ხოშტარიას ორივე საჯარიმო მიზანს უწია მომდევნო ეპიზოდში.

ამის შემდეგ ჩუბინიძე გააქტიურდა, რომელიც ჭეიშვილს მსროლელის პოზიციაზე ჰყავდა გამწესებული. მან ჯერ საშუალო მანძილიდან ივარგა, მოგვიანებით სამიანიც ჩააგდო და როცა მოისწრაფიშვილმაც ხელი გამოიღო, სტუ რვა ქულით გაიჭრა წინ — 10:2.

მოსეშვილის მიერ ნათხოვნი წუთშესვენების შემდეგ სდასუ გონს მოვიდა. მწვრთნელმა საგულდაგულოდ დამოძღვრა შეგირდები, მათ საგანგებოდ დაცვითი თამაშის გამკაცრება უბრძანა. მართლაც, ამის მერე თითქმის ოთხ წუთს უშედეგოდ უტევდა სტუ, სდასუ კი შეტევაშიც გააზრებულად მოქმედებდა და სულ მალე თანაფარდობაც აღდგა, რაშიც ლადო აბულაძის ზუსტმა სამქულიანებმა დაიდო ლომის წილი.

შუაგული ტაიმისთვის თანაბარი თამაში გაჩაღდა, გუნდები მონაცვლეობით გადიოდნენ წინ, მოგვიანებით კი მატჩის სადავეები აღმაშენებლის საუნივერსიტეტო გუნდმა იგდო ხელთ, რაც მთლიანად ირაკლი ხოშტარიას დამსახურება იყო. ჭეიშვილმა ხან ტულუში აადევნა ხოშტარიას, ხან მოისწრაფიშვილი და ხანაც მიქაძე, მაგრამ ამაოდ, სდასუ-ს ლიდერი შეუჩერებელი გახლდათ.

ყველასთვის მოულოდნელად სტუ ვერც ფარზე გაბატონდა. ეულად მყოფი შოთა მაჭარაძე კარგად უმკლავდებოდა მომხვდურებს, რაც მის თანაგუნდელებს კიდევ უფრო უხსნიდა ხელ-ფეხს.

ტაიმის მიწურულს გიორგი ჩხეიძის ზუსტმა სამიანმა პირველად ამ შეხვედრაში სდასუ-ს შვიდქულიანი უპირატესობა დაუბევა, რასაც სულ ბოლოს აბულაძემ ქულაც წაამატა.

მეორე ნახევარში შეუცვლელად მოთამაშე სდასუ-ს დაღლა დაეტყო, რითაც მეტოქემ ისარგებლა და ნელ-ნელა სხვაობის შემცირება იწყო. ამას ისიც დაერთო, რომ ხოშტარიას გაუვნებლება ახლა ჩუბინიძემ ითავა და ამის გამო შეტევაში სდასუ-ს აქტიურობამ ერთი-ორად იკლო. ამ ვითარებაში სდასუ-ს გამოცდილი შოთა უძილაური მოევლინა მხსნელად, რომლის დროული და ზუსტი სამიანები მოწინაალმდეგეს წინ გასვლის შანსს უსპობდა.

ამასობაში სტუ-ს რიგებშიც მოინახა ისეთი მოთამაშე, რომელიც წინ გაუძღვებოდა თავისიანთ. ლიდერობა თავის თავზე აიღო უძილაურზე არანაკლებ გამოცდილმა ამროსი ორმოცაძემ, რომლის ძალისხმევითაც ხანგრძლივი ჩამორჩენის შემდეგ, როგორც იქნა, მდევარი წამოეწია სდასუ-ს — 50:50.

სდასუ-მ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, გამარჯვება არაფრით ეთმობოდა მოსეშვილის გუნდს და შეხვედრა კვლავაც მათი კარნახით გაგრძელდა მანამ, სანამ შეხვედრის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე ჩუბინიძემ კვლავ არ აღადგინა წონასწორობა — 62:62.

აქ აბულაძე დაჯარიმდა მეოთხედ, რაც ორმოცაძემ ორ ქულად აქცია და თანაგუნდელები დააწინაურა. საჯარიმოს ხაზიდან ხოშტარიამ ერთი ქულა გაქვითა და მატჩის უკანასკნელი წუთიც დაიწყო.

სტუ-მ ხანგრძლივად ათამაშა ბურთი და ბოლოსდა შეუტია, ორმოცაძეს ნასროლი გაუცუდდა, თუმც ფარქვეშ ლოსაბერიძემ იმარჯვა, უაღრესად მნიშვნელოვანი მოხსნა მიითვალა და თანაგუნდელებს კიდევ ერთი შეტევის შესაძლებლობა მისცა.

მეორე ცდა სტუ-სთვის იღბლიანი გამოდგა. ამ ეპიზოდში რკინის ნერვები და მაღალი ოსტატობა გამოავლინა ტექნიკოსთა გამთამაშებელმა დავით თორთლაძემ, რომელმაც გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, თავისთვის უჩვეულო პოზიციიდან სროლა გადაწყვიტა და მიზანსაც მიაღწია — 66:63.

საფინალო სირენამდე ცხრამეტი წამით ადრე ხოშტარიას პერსონალურებმა ერთ ქულამდე შეამცირა სდასუელთა ჩამორჩენა, თუმცა მას სიზუსტეში არც თორთლაძე ჩამორჩა, მომდევნო შეტევაში საჯარიმოს ხაზიდანაც აუღელვებლივ ისროლა და სხვაობა კვლავ სამი ქულაა — 68:65.

ორთა დუელი კვლავაც გაგრძელდა, ხოშტარიას ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ 68:67 იყო სტუ-ს სასარგებლოდ. აბულაძე განგებ დაჯარიმდა თორთლაძე და ამ უკანასკნელმაც ორი საჯარიმოდან ერთი გამოიყენა — 69:67.

სდასუ-ს განკარგულებაში შვიდი წამილა რჩებოდა, დარჩენილ დროში შეუტია მეტოქეს, უძილაურმა სროლაც მოასწრო, მაგრამ...

„შევარდენი“ — „ბასკოს“ ბედი თავისწილად გადაწყვიტა ზღვისპირელთა თავდამსხმელმა ლევან ქარაბაკმა (35 ქულა), მთლიანობაში „ბასკოს“ არ გასჭირვებია გამარჯვება, თუმც ნათლად წარმოჩნდა, რომ ზურაბ ტომარაძეს ჯერ კიდევ უამრავი სამუშაო აქვს თავის ახალ გუნდთან.

შვიდგზის ჩემპიონმა „ვითამაც“ ადვილად დასძლია ნორჩი და ძალიან პერსპექტიული მოთამაშეებით დაკომპლექტებული ასკ-ს წინააღმდეგობა, რითაც სამმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა.

როლანდ ლაბუჩიძე

პირველ წრეში შვიდგზის ჩემპიონ „ვითასთან“ სენსაციური გამარჯვების შემდეგ თბილისის „მაკაბიმ“ მორიგი სიურპრიზი მეორე წრის მესამე ტურში შემოგვთავაზა, როდესაც ყველასათვის მოულოდნელად ვიცე-ჩემპიონ რუსთავის „აზოტს“ სძლია.

გამოცდილ ფერიაშვილს და ტყუპ ბერიშვილებს შესანიშნავად აუბა მხარი პირველი წრის ბოლოს ისრაელიდან დაბრუნებულმა დავით ტალაბაძემ. რაც შეეხებათ ვიცე-ჩემპიონებს, მათ, მართალია, ოჯახური მდგომარეობის გამო, გუნდის ლიდერი რამაზ გოგობერიშვილი და გრიპით დაავადებული ზაზა გაბისონია აკლდათ, მაგრამ ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს ექვსეულს მიღმა მყოფთა დამარცხება მაინც არ უნდა გასჭირვებოდა. არც გაუჭირდებოდა, რომ არა ზედმეტი თვითდაჯერება. რუსთაველთა მხრიდან ერთადერთი ნათელი წერტილი იყო ზვიად ბაბიაშვილი. შედარებით უკეთ გა-

საქართველოს ჩემპიონატი 14 ტური

ვერის ბაღი. 22 იანვარი

**დინამო 70:82 თსუ**

I ტაიმი 27:38

**დინამო:** ნიკოლაძე (29), ორდენიძე (4), ახვლედიანი (14), უჩუმბეგაშვილი (4), ზერეკიძე (5); ჩხაიძე (2), ენდელაძე (7), ბათხაძე (5)

**თსუ:** ვეფხვაძე, წოწელია (25), მარკოიშვილი (19), არსიაშვილი (7), ვ. აბულაძე (16); მშვილდაძე, მგალობლიშვილი (15)

**მსაჯები:** როლანდ გელოვანი, ლაშა თოიძე

**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

საქართველოს ჩემპიონატი 14 ტური

ვერის ბაღი. 22 იანვარი

**სსუ 82:77 გორი**

I ტაიმი 46:38

**სსუ:** გ. ჟღენტი (7), ბ. ბერიშვილი (46), ლაცუზბაია (6), თოდუა (11), ლ. ვაშაკიძე (6); ბ. ქვილითაია (4), ფენდერავა (2)

**გორი:** ნინოშვილი (25), ცაცებაშვილი (2), აბრამაშვილი (2), გრძელიშვილი (17), ფსუტური (9); კურტანიძე (8), მანველიშვილი (14)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე

**კომისარი:** აკაკი მეგრელაძე

საქართველოს ჩემპიონატი 14 ტური

ვერის ბაღი. 22 იანვარი

**მაკაბი 83:80 აზოტი**

I ტაიმი 39:37

**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (22), ტალაბაძე (13), ბ. ნოზაძე (2), მჭედლიშვილი (9), ფერიაშვილი (26); ი. ბერიშვილი (8), ლასარეიშვილი (3), კრიხელი

**აზოტი:** ა. ჟღენტი (13), რ. ჩხეიძე (16), ჯიმშელეიშვილი (3), ბაბიაშვილი (28), მ. ბერუაშვილი (4); გოგოლაძე, ლ. ჩაჩუა (10), წიკლაური (6)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

მოიყურებოდნენ რეზო ჩხეიძე და ლევან ჩაჩუა, მეტის გაკეთება შეეძლო არჩილ ჟღენტს, განსაკუთრებით კი მიხეილ ბერუაშვილს, რომელმაც მხოლოდ ოთხ ქულას მოუყარა თავი.

მატჩის დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ დავით ბერიშვილი-დავით ტალაბაძე-ალექსანდრე ფერიაშვილის საამეული მეტოქეს ბევრ პრობლემებს შეუქმნიდა. ბერიშვილის წამოწყებულ შეტევას კარგად აგრძელებდა ტალაბაძე და დიდებულად აგვირგვინებდა შესანიშნავ ფორმაში მყოფი ფერიაშვილი. მეოთხე წუთის ბოლოს „მაკაბის“ მიერ მოპოვებული 10 ქულიდან 8 ფერიაშვილის ანგარიშზე მოდიოდა. სტუმართა მხრიდან კი ოთხად ოთხი ქულა მეტოქის ფარქვეშ ეულად შებრძოლმა ბაბიაშვილმა გააკეთა. როდესაც „აზოტი“ მთელი გუნდით ფერიაშვილის განეიტრალებაზე გადაერთო, ბერიშვილმა და ტალაბაძემ შორეული და სამქულიანი სროლებით აიკლეს მეტოქის კალათი. საქმეს ვერც ჟღენტის და ბერუაშვილის შეცვლამ უშველა — შესაბამისად, ჩაჩუათი და წიკლაურით. ანგარიში კი იზრდებოდა თბილისელთა სასარგებლოდ და მე-12 წუთისათვის უკვე 29:13 გახდა. აქ რუსთაველებმა წუთშესვენებით ისარგებლეს, მსროლელი ჯიმშელეიშვილი გამთამაშებელ ჟღენტით შეცვალეს და მას, ლევან ჩაჩუასთან ერთად, უკანა ხაზის გაძლიერება დაავალეს. ტალაბაძეს და ფერიაშვილს ჩხეიძე მიუჩინეს, ხოლო წინ წაწეულ ბაბიაშვილს წიკლაური უმაგრებდა ზურგს. „აზოტის“ ტაქტიკამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაამართლა და მალე შედეგიც მოიტანა. მე-14 წუთის ბოლოს ჟღენტის სამქულიანის შემდეგ „აზოტმა" სხვაობა ერთ ქულამდე — 30:31 შეამცირა. მორიგი შეტევისას რუსთაველებს წინ გასვლის შანსი მიეცათ, მაგრამ ჩხეიძემ ორიდან ერთი საჯარიმოს გამოყენებით ანგარიში მხოლოდ გაათანაბრა 31:31. წინ კი „აზოტი" ჟღენტის მიერ ზუსტად შესრულებული საჯარიმო სროლის შემდეგ გავიდა — 32:31.

ტაიმის ბოლო წუთებში „მაკაბის" ხელმძღვანელობამ ლასარეიშვილით შეცვალა ტალაბაძე, რომელსაც 4 ჯარიმა ჰქონდა. მეტოქის ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელის მოედნიდან გასვლას „აზოტი" თითქოსდა უნდა გაეაქტიურებინა, მაგრამ იგი რატომღაც მოეშვა და „მაკაბის" პირველი ნახევრის თავის სასარგებლოდ დამთავრება აღარ გასჭირვებია.

შესვენების შემდეგ „აზოტს" 2 წუთზე ცოტა მეტი დასჭირდა, რათა კვლავ წინ გასულიყო. ეს რეზო ჩხეიძის ზუსტი სამქულიანის შემდეგ მოხდა — 44:43. მალე ჩაჩუამ გაიმეორა გამოცდილი თანაგუნდელის წარმატება და სტუმრებმა პირველად ჩამოიტოვეს მოწინააღმდეგე 4 ქულით — 47:43. ბაბიაშვილის რამდენიმე შედეგიანმა შეტევამ კი „აზოტის" უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა. ანგარიშში სხვაობამ 16 ქულას რომ მიაღწია (65:49), მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ვიცე-ჩემპიონმა ნაადრევად ირწმუნა გამარჯვება და დაისაჯა კიდეც.

აღსანიშნავია, რომ მეტოქეებს პირველ ტაიმშიც 16 ქულა აშორებდათ ერთმანეთისგან, ოღონდ ახლა „მაკაბი" მოგვევლინა მდევრის როლში. მეორე ტაიმის მე-15 წუთზე მიხეილ ბერუაშვილს მეხუთედ ჩაუსტვინეს მსაჯებმა, ამჯერად ფერიაშვილის წინააღმდეგ წესების დარღვევის გამო. „ფეროს" ზუსტად შესრულებული საჯარიმოების შემდეგ ახლა „მაკაბიმ" შეამცირა 16-ქულიანი სხვაობა ქულამდე — 68:69. მოახლოებული საფრთხე რომ იგრძნეს, ჟღენტმა და ბაბიაშვილმა „აზოტი" კვლავ დააწინაურეს 74:68. შემდეგ დიდებულად ითამაშეს დავით ტალაბაძემ და მისმა სეხნია ბერიშვილმა, რომლებმაც რუსთაველებს 6-დან 2 ქულაღა შეარჩინეს — 78:76. აქ დათო ბერიშვილი იღებს დაცვაში მეხუთე ჯარიმას და იგი დიდებულად შეცვალა მისმა ტყუპისცალმა, დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში გრიპის გამო იძულებით დასვენებულმა ირაკლიმ. სანამ მოედნიდან გასული უმცროსი კოლეგის ბედს გაიზიარებდა, მეხუთე ჯარიმის მიღებამდე 15 წამით ადრე 4 ქულით (80:76) დაწინაურებულ მეტოქეს ოქროს ფასად ღირებული სამქულიანი ჩაუგდო დავით ტალაბაძემ. ეს მოხდა მე-18 წუთზე — 80:79, წინ კვლავ „აზოტია". უხეირო შეტევის შემდეგ სტუმრები დაცვაში მეტოქეს ეუხეშნენ, ლასარეიშვილმა ორი შესაძლებლობიდან ერთი საჯარიმოს გამოყენებით მხოლოდ გაუთანაბრა მეტოქეს — 80:80. მე-19 წუთის ბოლოს ჩაჩუა ჯარიმდება ირაკლი ბერიშვილთან. ტყუპისცალი შეუცდომლად ესვრის და წინ კვლავ „მაკაბი" გადის — 82:80. გუნდებმა უშედეგო შეტევები გაცვალეს და ჩხეიძისგან დაზარალებულმა ირაკლი ბერიშვილმა მატჩის დამთავრებამდე 11 წამით ადრე ერთი საჯარიმოს გამოყენებით უფრო გაზარდა ანგარიში. დარჩენილი დრო საკმარისი იყო, რათა აზოტელებს ოვერტაიმში მაინც გადაეყვანათ შეხვედრა, მაგრამ მათ შეტევაში ერთმანეთს ვერ გაუგეს და მატჩის ხსნის თეორიული შანსი ქარს გაატანეს. „მაკაბიმ" კი ისრაელში გამგზავრების წინ, სადაც იქაურ გუნდებთან რამდენიმე ამხანაგური შეხვედრის ჩატარებას გეგმავს, მშვენიერი განწყობილება შეიქმნა და მეორე წრეში, მე-15 ტურიდან გადმოტანილი შეხვედრის ჩათვლით, ზედიზედ 4 მოგებით სატურნირო მდგომარეობა ისე გამოიკეთა, რომ ექვსეულში მოხვედრის შესაძლებლობაც კი გაუჩნდა.

არანაკლებ დაძაბული გამოდგა აუტსაიდერების მატჩი, სადაც ყველა შეხვედრაში დამარცხებული სსუ ნანატრი გამარჯვებისთვის ებრძოდა 3 მოგებით მე-10 ადგილზე მყოფ „გორს". როგორც იქნა, სსუ-მ გატეხა ნავსი, გაიმარჯვა ზედიზედ 13 წაგების შემდეგ და სატურნირო ცხრილში კარის მეზობელს, მეთერთმეტეადგილოსან ასკ-ს წამოეწია.

ეს შეხვედრა აღსანიშნავი იყო იმითაც, რომ სსუ-ს ლიდერმა ბუბა ბერიშვილმა 46 ქულით პირადი რეკორდი დაამყარა და მეცხრე ჩემპიონატის საუკეთესო შედეგი აჩვენა, რომელიც მანამდეც მას ეკუთვნოდა და 41 ქულა გახლდათ. რაც შეეხება „გორს", მან ერთ ადრინდელ ანტირეკორდს — მატჩში მოგროვებულ 44 ქულას, კიდევ ერთი მიუმატა და შეხვედრა ხუთის ნაცვლად სამი კალათბურთელით დაასრულა.

მატჩის გმირი უდავოდ ბუბა ბერიშვილი იყო, რომელმაც სსუ-ს მიერ მოპოვებული 82 ქულიდან ნახევარზე მეტი — 46 გააკეთა. სსუ-ს ლიდერმა მარტო პირველ ნახევარში მოუყარა თავი 31 ქულას. ამ შეხვედრაში მან 8 შესაძლებლობიდან 5 სამქულიანი, ხოლო 16-დან 15 საჯარიმო სროლა გამოიყენა.

„დინამო" — თსუ-ს შეხვედრაში ძალები აშკარად უთანასწორო იყო. გიორგი ნიკოლაძის იმედად მყოფმა „დინამომ", რომელიც მერვე ადგილიდან ფეხს არ იცვლის და მეტის მიღწევის შანსი არც აქვს, საკმაოდ აგრესიული წინააღმდეგობის მიუხედავად, ვერაფერი დააკლო ექვსეულში მოხვედრისთვის მებრძოლ თსუ-ს და თითქმის დაგეგმილი დამარცხება იწვნია. რაც შეეხებათ სტუდენტებს, მათ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს ექვსეულისკენ, სადაც „მაკაბის" სახით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდათ და დასახული მიზნის მისაღწევად ბლომად ოფლის ღვრა მოუწევთ.

### საქართველოს ჩემპიონატი. 15 ტური

ვერის ბაღი. 20 იანვარი

**მაკაბი 84:72 გორი**

I ტაიმი 52:38

**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (7), ტალაბაძე (16), მჭედლიშვილი (8), ბ. ნოზაძე (17), ფერიაშვილი (19); ი. ბერიშვილი (15), დავარაშვილი, კრიხელი (2)

**გორი:** ნინოშვილი (24), დ. იაშვილი (6), გრძელიშვილი (18), ფსუტური (14), მანველიშვილი (4); ლოლიშვილი (6), აბრამაშვილი

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, დავით ანდრიაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

*ამ დღეებში „მაკაბი" ისრაელურ ტურნეზე მიემგზავრება და მომავალ უქმეებზე გასამართი ეს მატჩი ხუთშაბათს, 20 იანვარს გაიმართა.*

### საქართველოს ჩემპიონატი. 12 ტური

**გორი — ბასკო**

*ეს მატჩი გუშინ, 24 იანვარს უნდა გამართულიყო, მაგრამ როგორც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა აკაკი მეგრელაძემ გვითხრა, მისი გამართვა ვერ მოხერხდა და ამჯერად დაუდგენელი ვადით გადაიდო.*

### საქართველოს ჩემპიონატი. 14 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 13 | 13 | 0 | 1315:1047 | 26 |
| აზოტი | 14 | 11 | 3 | 1326:1100 | 25 |
| სტუ | 14 | 11 | 3 | 1297:1008 | 25 |
| მაკაბი | 15 | 9 | 6 | 1262:1133 | 24 |
| სდასუ | 14 | 9 | 5 | 1235:1143 | 23 |
| ვითა | 14 | 9 | 5 | 1225:1119 | 23 |
| თსუ | 14 | 8 | 6 | 1256:1244 | 22 |
| დინამო | 14 | 5 | 9 | 1055:1172 | 19 |
| შევარდენი | 14 | 4 | 10 | 1023:1187 | 18 |
| გორი | 14 | 3 | 11 | 1026:1243 | 17 |
| ასკ | 14 | 1 | 13 | 1017:1329 | 15 |
| სსუ | 14 | 1 | 13 | 997:1309 | 15 |

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანიასთვის წელიწადი ახლა დაიწყო




REUTERS დენვერიდან

დენვერი — ფინიქსი. დენვერელმა ანტონიო მაკდაიესმა (№24) ტომ გულიოტას (მარცხნივ) და კორი ბლაუნტს აჯობა

21 იანვარი

**ბოსტონი 111:86 სიეტლი**

ბოსტონი: ანდერსონი (19), პირსი (21 ქულა, 10 მოხსნა), მაკარტი (5), უოლკერი (21), პოტაპენკო (6); ბათი (12), ოვერტონი (9), ფორტსონი (7 ქულა, 13 მოხსნა), ბაროსი (6), ელისონი (5)

სიეტლი: პეიტონი (13), ბერი, პატერსონი (8), ბეიკერი (19), გრანტი (6); ლუისი (14), **სტეფანია** (11 ქულა, 6 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება), მაკკოი (10), ვილიამსი (3), დევისი (2), პერსონი

23 იანვარი

**ტორონტო 94:77 სიეტლი**

ტორონტო: ვილიამსი (6), კრისტი (10), კარტერი (13), ოკლი (15), დევისი (17 ქულა, 11 მოხსნა); მაკგრეიდი (17 ქულა, 11 მოხსნა), ვილისი (12 ქულა, 12 მოხსნა), მარქსი (2), ტომასი (2), ბოგსი, ლენგი

სიეტლი: პეიტონი (29), ბერი (9), პატერსონი (8), ბეიკერი (11), გრანტი (8); მაკკოი (8), დევისი (2), ლუისი (2), პერსონი (2), ფოსტერი, ვილიამსი.

ღმერთმა ისმინა ქართველთა ვედრება. როგორც იქნა, ამ ახალ წელსაც ვიხილეთ საქმეში ვლადიმერ სტეფანია. პირველად, ამ ახალ 2000 წელს, მიეცა ვოვას თავის გამოჩენის შანსი და არც გაუშვა ხელიდან, „ბოსტონთან" თამაშში სული და გული ჩადო და საერთოდ მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. პოლ ვესტფოლს, რომელიც „სიეტლს" სათავეში დაახლოებით მაშინ ჩაუდგა, როცა გუნდის კარი შეაღო სტეფანიამ, ქართველი მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა მისი გუნდი წასაგებად გაიწირა და მატჩის გადარჩენის თითქმის არავითარი შანსი აღარ იყო. არადა, იყო დრო, ვესტფილი სტეფანიას მრავალმხრივნიჭიერ კალათბურთელად მიიჩნევდა და ისიც უთქვამს, ცოტა ხანში გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდებაო. ბოლო ხანებში ვესტფოლმა საერთოდ მოაკლო თავისი ყურადღება ქართველს და ვოვას გამოჩენაც იშვიათი მოვლენა გახდა, ამ წელიწადს ხომ სულაც პირველად ითამაშა ქართველმა ცენტრმა დიდხანს (ამასწინანდელ ერთწუთიან გამოჩენას თამაშად ვერ მივიჩნევთ) და თან კარგად, რაც ორმაგად სასიხარულოა.

„ბოსტონთან" მატჩში ქართველმა თითქმის მთელი მეორე ნახევარი დაჰყო მოედანზე, უფრო ზუსტად, 17 წუთი. ჩვენებურს ერთობ უაქტიურია და ცდა არ დაუკლია. ეს ბუნებრივიცაა, ვოვა ხომ დანატრებულია თამაშს. თან ამ დროს მისი გუნდი უიმედოდ აგებდა. ცოტა ხმამაღლად კი ჟღერს, მაგრამ სტეფანიამ ყველაფერი იღონა მატჩის გადასარჩენად, თუმცა ჯერ არ არის იმ დონის, მარტომ გადაწყვიტოს რაიმე ნბა-ში. ერთი კი ცხადია, სტეფანია ძლიერ აქტიური იყო, იქნებ ყველაზე აქტიურიც თავისიანთა შორის. სწორედ ამაზე მიუთითებს მისი კარგი გარჯა როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში. შეტევაში ვოვა ლომივით იბრძოდა ფარქვეშ, ხუთი ბურთი ჩააგდო და თანაგუნდელთა ოთხი აცილებული მოხსნა, რითაც ყველა თავისიანს აჯობა, არადა, მის გუნდს სწორედ ფარქვეშ უჭირდა. არა, „სიეტლს" იმ დღეს ყველგან უჭირდა, ფარქვეშაც და მის გარეთაც. რაც შეეხება დაცვას, აქ ჩვენებურმა მოთარეშე მასპინძლებს ორჯერ დაუფარა, ორჯერაც ბურთი მოპარა და საერთოდ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. მისმა მცდელობამ კი თუმც მცირე, მაგრამ მაინც გამოიღო შედეგი, „სუპერსონიქსმა" მეორე ნახევარი ისე სამარცხვიონოდ აღარ წააგო, როგორც პირველი. ოცი ქულის სხვაობით მოგებულ პირველ ტაიმის „ბოსტონმა" მეორეში მხოლოდ ხუთი წაუმატა.

ისე, მართალი რომ ითქვას, „ბოსტონში" „სიეტლის" ასეთ წაგებას მოულოდნელობას ვერ მივაწერთ. ვესტფოლის ბიჭებმა ზედიზედ შვიდი თამაში მოიგეს, მათგან რამდენიმე ბობოლასთან. რა გასაკვირია, რომ სტეფანიამ თანაგუნდელებმა ერთ-ერთ რიგით მატჩში „ბოსტონთან" დასვენება გადაწყვიტეს. ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ლიდერები მაინცდამაინც თავს არ იკლავდნენ — პატერსონმა რვა ქულა იკმარა, პეიტონი თამაშში საშუალოდ 24 ქულას აგროვებს, ახლა 13 დასჯერდა, ბრენტ ბერიმ კი, რომელმაც ის შვიდი შეხვედრა მშვენივრად ჩაატარა, ახლა ქულაც ვერ შეჰმატა თავის გუნდს.

ამ უქმეებზე გამართულ კიდევ ერთ მატჩში „ტორონტოსთან" კი ველარ ვიხილეთ „სიეტლის" ქართველი ცენტრი. სტუმართა 12-კაციანი შემადგენლობიდან მას ერთდაერთს არ უთამაშია. შაბათს „ტორონტოში" გამართული მატჩი კი ლამის ვაშლის მეორე ნახევარივით ჰგავდა ბოსტონში გამართულს.

„ზებგერითებს" კიდევ ერთი მატჩით გაუგრძელდათ დასვენება. მხოლოდ გერი პეიტონი აქტიურობდა. იგი, ალბათ, შიშობდა, ორი მატჩი რომ მიყოლებით ჩავაგდო, ცუდად დაეტყობა ჩემს შედეგიანობის მაჩვენებელსო. პეიტონის მცდელობამ კი ის სარგებელი მოიტანა, რომ მისმა გუნდმა ამჯერად 25-ის ნაცვლად 17 ქულა წააგო. თან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „ტორონტოს" ჭაბუკი ლიდერი, ფრენის დიდოსტატი ვინს კარტერი დიდად არ შეწუხებულა. მისმა თანაგუნდელებმაც სულ იოლად გაართვეს საქმეს თავი.

ზედიზედ ორმა უიმედო მარცხმა სიეტლელთა თავკაცი ერთი შეხედვით ძალიან შეაშფოთა. ვესტფოლს თავში ხელი შემოურტყამს და თავისი ბიჭები სხვათა დასანახად დაუტუქსია კიდეც, მაგრამ მასზე კარგად არავინ უწყის, რომ თუ წამყვანებმა ცოტა არ დაისვენეს, მის გუნდს ძლიერ გაუჭირდება. საოცარი მხოლოდ ის არის, რატომ არ ითამაშა სტეფანიამ „ტორონტოსთან". ვეჭვობთ, ერთ შეხვედრას ისე გადაეღალა ქართველი, ორი დღის შემდეგ მატჩი ველარ ჩაეტარებინა.

21 იანვარი

**ვაშინგტონი 123:113 ინდიანა**

ვაშინგტონი: ჰოვარდი (36 ქულა, 10 მოხსნა), სტრიკლენდი (27), სმიტი (20)

დიანა: მილერი (21)

**მაიამი 101:79 ატლანტა**

მაიამი: მაშბურნი (28), მურნინგი (20)

ატლანტა: რაიდერი (18)

**დენვერი 99:101 ფინიქსი**

დენვერი: მაკდაიესი (26 ქულა, 11 მოხსნა), ლაფრენცი (22)

ფინიქსი: კიდი (24 ქულა, 12 პასი), რობინსონი (24), გულიოტა (21 ქულა, 15 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 115:103 კლივლენდი**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (37 ქულა, 18 მოხსნა), მარშალი (25 ქულა, 11 მოხსნა), ბლეილოკი (22 ქულა, 11 პასი)

კლივლენდი: მიურეი (38), კემპი (18 ქულა, 14 მოხსნა)

**კლიპერსი 89:95 მინესოტა**

კლიპერსი: ოდომი (18 ქულა, 14 მოხსნა)

მინესოტა: მიჩელი (20)

22 იანვარი

**ნიუ ჯერსი 98:95 დალასი**

ნიუ ჯერსი: გილი (23), მარბერი (20)

დალასი: სებალოსი (36)

**ლეიკერსი 91:95 პორტლენდი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (28), ონილი (17 ქულა, 16 მოხსნა, 7 პასი, 6 დაფარება)

პორტლენდი: სმიტი (27), სტუდემაიერი (22), ვოლესი (19 ქულა, 12 მოხსნა)

**ვანკუვერი 82:85 ორლანდო**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (16 ქულა, 10 მოხსნა)

ორლანდო: აბდულ-ვაჰადი (18)

**ჩიკაგო 98:92 დეტროიტი**

ჩიკაგო: კუკოჩი (22), ბრენდი (20 ქულა, 14 მოხსნა)

დეტროიტი: მილზი (20)

**საკრამენტო 101:104 იუტა**

საკრამენტო: ვილიამსი (22), ვებერი (21)

იუტა: მელოუნი (24), რასელი (24), სტოქტონი (22 ქულა, 13 პასი)

**სან ანტონიო 96:83 ნიუ იორკი**

სან ანტონიო: დანკანი (33 ქულა, 15 მოხსნა)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (17)

**ატლანტა 111:93 ვაშინგტონი**

ატლანტა: რაიდერი (28), მუტომბო (17 ქულა, 19 მოხსნა, 6 დაფარება)

ვაშინგტონი: სტრიკლენდი (19), ჰამილტონი (19)

**შარლოტი 110:96 ბოსტონი**

შარლოტი: კოულმენი (24 ქულა, 11 მოხსნა), ჯონსი (18)

ბოსტონი: პოტაპენკო (18 ქულა, 11 მოხსნა)

**ფილადელფია 103:97 ინდიანა**

ფილადელფია: აივერსონი (37)

ინდიანა: მილერი (28)

**ფინიქსი 101:88 კლივლენდი**

ფინიქსი: კიდი (16 ქულა, 12 პასი), როჯერსი (16)

კლივლენდი: კემპი (20)

23 იანვარი

**დეტროიტი 91:99 დალასი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (36)

დალასი: სებალოსი (22 ქულა, 10 მოხსნა), ფინლი (18 ქულა, 10 მოხსნა)

**ჰიუსტონი 101:88 მაიამი**

ჰიუსტონი: ბალარდი (24)

მაიამი: მურნინგი (23 ქულა, 11 მოხსნა), ლენარდი (20)

**გოლდენ სტეიტი 81:99 მინესოტა**

გოლდენ სტეიტი: ბლეილოკი (14)

მინესოტა: გარნეტი (22 ქულა, 15 მოხსნა)

**კლიპერსი 89:102 ორლანდო**

კლიპერსი: ანდერსონი (20), ტეილორი (19 ქულა, 12 მოხსნა)

ორლანდო: არმსტრონგი (17)

კვირას დეტროიტში გამართულ „დეტროიტ" — „დალასის" შეხვედრაში მასპინძლებს თავიანთი უპირველესი მოთამაშე გრანტ ჰილი აკლდათ. „დალასის" გამარჯვების მიზეზიც ეს გახდა. სტუმრებმა მასპინძელთა ძლევა განსაკუთრებით აღნიშნეს, და მწვრთნელის ქება და მადლობაც დაიმსახურეს. ამგვარი სიხარულის მიზეზი კი ის იყო, რომ მათმა დამრიგებელმა, ლეგენდარულმა დონ ნელსონმა მწვრთნელის რანგში მე-900 თამაში მოიგო და ლიგის ისტორიაში მეექვსე მწვრთნელი გახდა, ვისაც შეუძლია, ამით იტრაბახოს.

**ირაკლი ფირაშვილი**




# ქართულ სპორტს ქისა სჭირდება

## ახალი ქართული ანდაზა: უფულობის ეპიდემია გრიპზე უარესიაო

**მსოფლიოს ჩემპიონატის. შესარჩევი ტურნირი**

თბილისი. ასკ-ს დარბაზი

**საქართველო — ბელარუსი**

**27(16):21(11)**

საქართველო: ერაძე, თევზაძე; ქობელაშვილი, ყიფიანი (1), გვაზავა (4), მეიფარიანი, დათუკაშვილი (6), კალანდაძე (4), გელაშვილი, ბოყოჩაძე (9), ორჯონიკიძე, თურქია (3)

ბელარუსი: გოლმაკი; კურჩევი (7), რადკევიჩი, ბროვკო (1), შარნიკოვი (4), მაქსიმოვიჩი, კასტიუჩიკი (1), ნეხაიჩიკი (2), ტარასიუკი (1), უბოჟენკო (5), სინიაკი

გაფრთხილება: შარნიკოვი, კასტიუჩიკი, თურქია

2-წუთიანი გაძევება: შარნიკოვი, ნეხაიჩიკი, დათუკაშვილი

მსაჯები: ბორისოვი, მედვედევი (რუსეთი)

EHF-ის დელეგატი: გაზარიანი (სომხეთი)

მორჩა! 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი საქართველოს ნაკრებისთვის დამთავრდა, თორემ ბევრი სხვა გუნდი ტურნირში ჯერაც არ ჩაბმულა. ქართველებმა კვირას ბელარუსის ნაკრებს მეორედ უმასპინძლეს და მეორედ მოუგეს. მატჩი ისევ ასკ-ს გაყინულ დარბაზში ჩატარდა და ისევ ჩვენებურების აშკარა და სრული უპირატესობით წარიმართა. თუმცა, ეტყობა, ყინვა არც ისეთი გაუსაძლისი იყო, როგორც პარასკევს, ანდა ბელარუსები მას უკვე შეეჩვივნენ, რადგან ორი მაისურა არც ერთ მათგანს არ ჩაუცვამს და მეც არ დამჭირვებია ტვინის ჭყლეტა მათი ვინაობის გამოსაცნობად.

შეხვედრის საწყისი წუთები მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში გაილია. წინ ძირითადად სტუმრები იყვნენ, მაგრამ მათი უპირატესობა დიდი არასოდეს ყოფილა. მე-10 წუთისთვის ანგარიში გათანაბრდა იყო — 5:5, მერე კი საქართველოს ნაკრები დაწინაურდა და მეტოქეს წამოწევის საშუალება მატჩის ბოლომდე აღარც მისცა. ჩვენები ორი ბურთით იგებდნენ, როცა სწრაფი კონტრიერიში ბოყოჩაძემ დააგვირგვინა. მას ტყორცნისას შარნიკოვი ეუხეშა, რომელიც მსაჯებმა ორი წუთით იძულებით დაასვენეს. ადრინდელი მატჩების კვალობაზე ქართველებს რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებაზე საკმაოდ ემუშავათ და შედეგიც მოიმკეს. ჯერ გვაზავამ, შემდეგ კი ბოყოჩაძემ კიდევ ორი გოლი გაიტანეს და ანგარიში — 13:8 გახადეს. ტაიმი კი 16:11 მოვიგეთ, თუმცა გოლი ქართველებმა ერთით მეტი გაიტანეს. პირველი ნახევრის შუახანს კალანდაძის ნასროლი ბურთი ერთი შეხედვით ასცდა გოლმაკის კარს და მსაჯმაც ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო. სტუმართა მეკარე კი ოდნავ შეცბუნებული ჩანდა და კალანდაძეც რაღაცას უმტკიცებდა მატჩის არბიტრს. დავინტერესდი და კარის უკან მივედი. ბადე მარცხენა დაბალ კუთხეში გარღვეული ყოფილა და გასული ბურთიც, ეტყობა, იმ ნახვრეტში გაძვრა. ეს ხარვეზი უმალ გამოასწორეს და გოლიც აღარავის დაჰკარგვია.

შესვენების შემდეგ შეხვედრა მასპინძლებმა განაახლეს და მოწინააღმდეგის კარიც უმალ დაბომბეს. ბოყოჩაძემ, დათუკაშვილმა, თურქიამ და კალანდაძემ (ორჯერ) ხუთი გოლი გაიტანეს, რასაც კურჩევმა და ნეხაიჩიკმა უპასუხეს და ანგარიშში სხვაობამ 8 ბურთს მიაღწია. ამის მერე რა დაემართათ ზაზა დოლიძის შეგირდებს, ძნელი სათქმელია. ფაქტი კი ერთია — მთელი 10 წუთი მათ გოლმაკის კარში ბურთის შეგდება ველარ მოახერხეს. არადა, მომენტების მეტი რა იყო. მეკარესთან პირისპირაც გადიოდნენ, შორიდანაც ტყორცნიდნენ, მაგრამ ამაოდ. დათუკაშვილმა 7-მეტრიანი საჯარიმოც ვერ გამოიყენა. კიდევ კარგი, არც ჩვენი სტუმრები ბრწყინავდნენ შეტევაში, რაც უდავოდ ჩვენი დაცვის და მეკარე ერაძის დამსახურებაა. ამიტომაც ანგარიშში სხვაობა მხოლოდ ორი ბურთით შემცირდა — 21:15. ამ დროს მსაჯებმა კასტიუჩიკიც გააძევეს ორი წუთით, ქართველებიც თითქოს ამას ელოდნენო. მათ სამი უპასუხო გოლი გაიტანეს და თამაშში ყველაზე დიდ უპირატესობასაც მიაღწიეს — 24:15. შეხვედრის მიწურულს კი მასპინძლები ისევ მოეშვნენ და სტუმრებს საშუალება მისცეს, წამოსწეოდნენ — 25:21. 1:6 წაგებული მონაკვეთის შემდეგ საქართველოს ნაკრები ისევ გამოერკვა და ბოლო ორი გოლიც გაიტანა.

რა შეიძლება ითქვას მთლიანობაში ამ შესარჩევი ტურნირის შესახებ? უპირველესად, ალბათ, ის, რომ იგი დამსხვრეული ოცნებების ტურნირი იყო. უფულობის გამო სათანადოდ მომზადება არ მოხერხდა. შვეიცარიასა და ისრაელსაც მხოლოდ სტუმრად ვეთამაშეთ. თანაც ეს ოხერი გრიპის ეპიდემია, რომელმაც ლამის მთელი გუნდი დააავადა. თორემ ბიჭებს რომ უკეთ თამაში შეუძლიათ და პლეი ოფში გამსვლელებიც იყვნენ, ბელარუსთან დაამტკიცეს. ერთი სიტყვით, ფული სჭირდება ქართულ ხელბურთს, ისევე, როგორც მთლიანად ჩვენს სპორტს, მაგრამ ვინ მოხსნის თავს ქისას? ეჰ, ერთი ეს „ვინ“ გვაპოვნინა...

**გაიოზ თალაქვაძე**

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი**

III ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 6 | 6 | 0 | 0 | 153:130 | 12 |
| ისრაელი | 6 | 2 | 0 | 4 | 142:141 | 4 |
| ბელარუსი | 6 | 2 | 0 | 4 | 146:154 | 4 |
| საქართველო | 6 | 2 | 0 | 4 | 132:148 | 4 |

# იტირე, მწვრთნელო!

## ფრანგებისთვის ისევ 1995 წელია

ხორვატიაში, ევროპელ ვაჟთა ჩემპიონატზე გუნდები ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი და პირველ-მეორე ადგილებზე გასულნი ნახევარფინალებში გადიან. A ჯგუფში საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის ოთხი კანდიდატი იყო, მაგრამ ახლა სამსლა შერჩა ამის შანსი. B ჯგუფში კი სპეციალისტები შვედეთსა და რუსეთს უეჭველ ფავორიტებად მიიჩნევდნენ და ისინიც ჯერჯერობით ამართლებენ პროგნოზებს.

პირველ ტურში თითქმის ყველა ფავორიტმა იმარჯვა. მასპინძლებთან შეხვედრაში ესპანელთა მოგება ნამდვილად მოსალოდნელი და კანონზომიერი იყო, ოღონდ ბევრი ვერ იფიქრებდა, რომ ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონები ასეთი სხვაობით დამარცხდებოდნენ (22:27). პირინეის ნახევარკუნძულელები მართლაც ძლიერები არიან. მათ ხორვატებს გასაქანი არ მისცეს და მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელთა კარის დარაჯმა მშვენივრად ითამაშა (მირკო ბაზიჩმა 11 ტყორცნა მოიგერია), მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა. ესპანეთმა 16:11 მოიგო და ეს ხუთბურთიანი უპირატესობა მეორე ტაიმშიც შეინარჩუნა. საფრანგეთმა ნორვეგიას აჯობა (24:21), გერმანია კი უკრაინასთან ფრეს (24:24) დასჯერდა.

ლამის ტურის სენსაცია მოახდინა პლეი ოფში საქართველოს მძლეველმა დანიის ნაკრებმა. იგი რუსეთს შესვენებამდე 14:11 უგებდა და მეორე ტაიმშიც ტოლ-სწორად ეპაექრა, მაგრამ კლასმა მაინც თავისი გაიტანა. გადამწყვეტი გოლი დანიელთა კარში კულეშოვმა გაიტანა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებმა ძნელი გამარჯვება მოიპოვეს — 27:26. B ჯგუფის სხვა მატჩებიც ლოგიკურად დასრულდა. შესარჩევ ტურნირში ჩვენმა თანაჯგუფელმა პორტუგალიამ დაძაბულ შეხვედრაში სლოვენიას აჯობა (28:27), მსოფლიოს ჩემპიონმა შვედეთმა კი ისლანდია გაანადგურა (31:23).

ტურნირის დაწყებამდე პოტენციურ ნახევარფინალისტად მიჩნეული გერმანია მეორე ტურში მასპინძლებთან დამარცხდა და მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. გერმანელებს დიდი სურვილი ჰქონდათ, წინა დღეს უკრაინასთან ნათამაშევი ფრის შემდეგ გუნება გამოესწორებინათ, მაგრამ ზაგრებელი მაყურებლის ღრიანცელით გულმიცემულ ხორვატებთან ვერაფერს გახდნენ. საფრანგეთმა და ესპანეთმა კი მორიგი გამარჯვებები მიითვალეს და ჯგუფის ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ.

B ჯგუფში სამივე შეხვედრა პირველ ტურში გამარჯვებულთა სასარგებლოდ დასრულდა. შვედეთმაც, რუსეთმაც და პორტუგალიამაც იოლად მოიგეს თავიანთი მატჩები.

მესამე ტურში ესპანეთმა, საფრანგეთმა, შვედეთმა და რუსეთმა მესამე მოგებები ჩაიწერეს და ნახევარფინალის გზაზე დიდი ნაბიჯიც გადადგეს. თუმცა ესპანეთი და საფრანგეთი ჯერ კიდევ უნდა უფრთხოდნენ ხორვატიას. გერმანელები კი ნამდვილად ვერ იფიქრებდნენ, რომ სამი ტურის შემდეგ საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის თეორიული შანსიც კი აღარ ექნებოდათ. არადა, დეკემბრის მიწურულს მათ ფრანგები 20:12 გაანადგურეს. ამჯერად კი ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. ფრანგებმა თითქოს 1995 წელი დააბრუნეს. მაშინ ისინი ისლანდიაში მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. ჯექსონ რიჩარდსონი მაშინდელივით ჩინებულად თამაშობდა და 8 გოლი გაიტანა. არანაკლებ ბრწყინვალენი იყვნენ მეკარეები — ბრუნო მარტინი და კრისტიან გოდენი, რომელთა გადამკიდე გერმანელებმაც შვიდი 7-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნიდან მხოლოდ ორჯერ შეძლეს გატანა.

„მშვენიერი რევანში ავიღეთ გერმანელებზე, რომლებმაც ახლახან სასტიკად დაგვამარცხეს. თითქოს ჩვენი თამაში ვიპოვეთ, თითქმის ყველაფერი გამოგვდიოდა — ამბობდა საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი რიჩარდსონი, თან სიხარულისგან აცრემლებულ თავის მწვრთნელ დანიელ კონსტანტინის ამშვიდებდა.

ესპანეთს საკმაოდ გაუჭირდა უკრაინასთან, რომლის რიგებშიც დიდებულად თამაშობს ოლეგ ველიკი. 22 წლის სლავმა ამჯერად 10 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას. ხორვატიამ კი ვიკინგებს ძალიან იოლად აჯობა. მასპინძლები ერთი პირობა 15:6 იგებდნენ, მაგრამ ამხელა უპირატესობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს.

B ჯგუფში შვედეთმა პორტუგალია გააცამტვერა, რუსეთს კი ისლანდიამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ზედიზედ მესამე თამაში წააგო ჩვენმა ნაცნობმა დანიამ. ამჯერად მას სლოვენიამ აჯობა.

მეოთხე ტური დღეს გაიმართება.

**გაგი გურული**



ესპანელთა ლიდერი ინაკი ურდანგარინი

**ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი**

**A ჯგუფი**

ზაგრები

II ტური

ხორვატია 21(11):20(12) გერმანია

ნორვეგია 21(9):25(13) ესპანეთი

უკრაინა 22(9):24(12) საფრანგეთი

III ტური

ესპანეთი 27(17):24(11) უკრაინა

გერმანია 19(9):25(15) საფრანგეთი

ხორვატია 27(15):23(10) ნორვეგია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 79:67 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 73:62 | 6 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 70:70 | 4 |
| უკრაინა | 3 | 0 | 1 | 2 | 70:75 | 1 |
| გერმანია | 3 | 0 | 1 | 2 | 63:70 | 1 |
| ნორვეგია | 3 | 0 | 0 | 3 | 65:76 | 0 |

**B ჯგუფი**

რიეკა

II ტური

დანია 22(10):29(16) შვედეთი

სლოვენია 23(12):27(16) რუსეთი

ისლანდია 25(13):28(14) პორტუგალია

III ტური

რუსეთი 25(15):23(14) ისლანდია

შვედეთი 29(15):21(9) პორტუგალია

დანია 24(9):28(13) სლოვენია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 89:66 | 6 |
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 79:72 | 6 |
| პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | 77:81 | 4 |
| სლოვენია | 3 | 1 | 0 | 2 | 78:79 | 2 |
| დანია | 3 | 0 | 0 | 3 | 72:84 | 0 |
| ისლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 71:84 | 0 |



ზურაბ აზმაიფარაშვილი

# აქაც პოლიტიკა?!

## ოპოზიციამ კარგად იმუშავა, აღიარებს ზურაბ აზმაიფარაშვილი

ჟურნალისტების უჩვეულო სიმცირით გამოირჩა შაბათს ჭადრაკის სასახლეში გამართული პრესკონფერენცია. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს, ზურაბ აზმაიფარაშვილს უსმენდა და ეკითხებოდა მასმედიის სულ ხუთიოდე წარმომადგენელი. ცხადია, წინა დღეს ფედერაციის ალმასკომზე დაშვების შემდეგ მეოთხე ხელისუფლების წევრთა უმეტესობამ მიღებული ინფორმაცია უკვე საკმარისად ჩათვალა და ზედმეტ გარჯას თავი აარიდა. ეს, ალბათ, სწორიც იყო. პრესკონფერენციაზე ისეთი არაფერი თქმულა, რაიმე დიდ საგაზეთო მასალის თემად ქცეულიყო, თუმცა ორიოდე საკითხის თაობაზე პრეზიდენტის აზრი გვაინტერესებდა და აი, ისინიც:

ალმასკომის სხდომის შემდეგ მავანნი ამბობდნენ, დიდ ქართულ ჭადრაკში დიდი პოლიტიკაა ჩარეულიო. აზმაიფარაშვილს ეს აზრი არცთუ უსაფუძვლოდ მიაჩნია. მან დაადასტურა, რომ ოპოზიციამ მოახერხა ალმასკომში უმრავლესობის მოპოვება, ანუ წინა პერიოდთან შედარებით მიიღო ხმების მეტი რაოდენობა. პრეზიდენტის თქმით, ოპოზიციის მომხრეთა რაოდენობის ზრდა ხალხის მიზანმიმართული დამუშავების შედეგია, სწორედ ამაში გამოიხატება პოლიტიკის ზეგავლენა. „მე ჭადრაკში პოლიტიკა არასოდეს ჩამირევია — განაცხადა აზმაიფარაშვილმა — მუდამ ვემსახურებოდი იდეას, საქართველოში ჩატარებულიყო რაც შეიძლება ბევრი საერთაშორისო ტურნირი, ჩამოსულიყვნენ სტუმრები და ენახათ, რომ ჩვენც შეგვიძლია რაღაცის გაკეთება. ამასთან, ყურადღება გავამახვილე არა საჭადრაკო ელიტის ცალკეულ წევრთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, არამედ მასობრივ ჭადრაკზე, ახალგაზრდობაზე, რადგან ჩვენ ახალი სახელები გვჭირდება. სხვანაირად ჩვენს ჭადრაკს მომავალი არა აქვს“.

აზმაიფარაშვილი თავისი საქმიანობის მეორე ასპექტსაც შეეხო. მან ჭადრაკში ფედერაციის როლის შესუსტება და წინა პლანზე სპონსორების, მეცენატებისა და საჭადრაკო კლუბების წამოწევა იგულისხმა. ასეა დასავლეთში, სწორედ ამიტომაა იქ ჭადრაკი ჩვენზე ბევრად უკეთეს დღეში“ — დასძინა მან.

პრესკონფერენციის დასასრულს (იგი კი ერთ საათსაც არ გაგრძელებულა) ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა კომენტარი გაუკეთა ალმასკომის სხდომაზე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, მურთაზ მნათობიშვილის ნათქვამს, რომელმაც ალმასკომი „თამაშგარე მდგომარეობაში“ გადაიყვანა. აზმაიფარაშვილმა აღნიშნა, რომ ალმასკომი უაღრესად საჭირო ორგანიზაციაა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი რეგიონების წარმომადგენლებსაც აერთიანებს (ფედერაციის პრეზიდიუმში რეგიონებიდან მხოლოდ ავტონომიების წარმომადგენლები ირიცხებიან). ამიტომ გაუმართლებელია ლაპარაკი იმაზე, რომ ფედერაციის წესდების თანახმად თურმე ალმასკომი ერთგვარი „ხორცმეტია“. ამის მთქმელმა არცთუ კარგად უნდა იცოდეს თავისი საქმე.

ეს იყო და ეს. პრესკონფერენცია დამთავრდა, მაგრამ რიგგარეშე ყრილობის ბედი, საზოგადოებისთვის მაინც, ჯერ კიდევ გაურკვეველი დარჩა...

**დავით გულუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთის თხილამურობა

# ფინიშთან შეხვედრამდე!

შეიძლება ითქვას, რომ სამთო თხილამურებში მსოფლიო თასისთვის აღარავინ იბრძვის — მსოფლიოს ორგზისა და ოლიმპიადის ჩემპიონი, ავსტრიელი ჰერმან მაიერი ისეთი უპირატესობით დაწინაურდა, მდევრებს, ბუნებრივია, პირველობისთვის ბრძოლის ყოველგვარი სურვილი დაეკარგათ. კიცბიუელში სუპერგიგანტის მოგების შემდეგ „ჰერმინატორს" 1310 ქულა დაუგროვდა, მის უახლოეს მდევარ ნორვეგიელ კეტილ ამოდტს კი მხოლოდ 958 ქულა აქვს. ახლა მსოფლიო სათხილამურო სპორტის ლიდერს ერთი გამარჯვებაც სჭირდება და თასებზე მოგებული ეტაპების რაოდენობით დიდ თანამემამულე ფრანც კლამერს გაუთანაბრდება, რომლის ანგარიშზეც 26 გამარჯვებაა.

იტალიის კორტინა დამპეცოში ქალები სწრაფდაშვებაში ეჯიბრებოდნენ. გაიმარჯვა ფრანგმა რეგინა კავანიუმ. ეს მისი მესამე გამარჯვებაა წლევანდელ სტარტებში. დაეცა და შესაბამისად ვერც ერთი ქულა ვერ შემატა თავის მონაგარს მსოფლიო თასის ლიდერმა, ავსტრიელმა მიქაელა დორფმაისტერმა. ცუდად იასპარეზეს სხვა ფავორიტებმაც — ათეულს მიღმა დარჩნენ იზოლდე კოსტნერი, მარტინა ერტლი და მსოფლიოს ჩემპიონი რენატა გოეტჩლი.


REUTERS კიცბიუელიდან

ჰერმან მაიერი


REUTERS კორტინა დამპეცოდან

რეგინა კავანიუ

**საერთო ჩათვლა**

ქალები

| | |
|---|---|
| მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) | 757 |
| რენატა გოეტჩლი (ავსტრია) | 702 |
| რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) | 601 |
| იზოლდე კოსტნერი (იტალია) | 532 |
| სონია ნეფი (შვეიცარია) | 476 |
| მარტინა ერტლი (გერმანია) | 440 |

კაცები

| | |
|---|---|
| ჰერმან მაიერი (ავსტრია) | 1310 |
| კეტილ ამოდტი (ნორვეგია) | 958 |
| იოზეფ შტრობლი (ავსტრია) | 660 |
| შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) | 632 |
| კრისტიან გედინა (იტალია) | 589 |
| ფრინ შტრობლი (ავსტრია) | 576 |

## ძიუდო

# მოსკოვში, კარგად...

გასულ შაბათ-კვირას მოსკოვმა ძიუდოისტთა სეზონში პირველ სალიცენზიო ტურნირს უმასპინძლა. საქართველოს ნაკრებიც იქ იყო, ოღონდ ლამის სარეზერვო შემადგენლობით. მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა დაასვენა ნესტორ ხერგიანი და გიორგი რევაზიშვილი, რომლებმაც შარშან ბირმინგემის მსოფლიოს ჩემპიონატზე შესაბამისად 60 და 73 კილოგრამ წონებში ბრინჯაოს მედლებთან ერთად სიდნეის საგზურებიც მოიპოვეს. ავადმყოფობის გამო სოსო ლიპარტელიანი (81) და გია გუგავაც (90) გამოაკლდნენ ნაკრებს, ხოლო გიორგი ვაზაგაშვილი (რომელმაც რევაზიშვილთან კონკურენციაში წონა ჯერაც ვერ გაარკვია) პირადი პრობლემების გამო დარჩა შინ.

მიუხედავად ამისა, მოსკოვის ტატამზე ქართველებს თავი არ შეურცხვენიათ. 100 კგ-ში ივერი ჯიქურაული ჩემპიონი გახდა, ხოლო მძიმეში სულაც ქართული ფინალი გაიმართა, რომელშიც რამაზ ჩოჩიშვილმა ალექსი დავითაშვილი დაამარცხა. ახალგაზრდა ზურაბ ზვიადაურმა (90) მესამე ადგილი დაიკავა. სალიცენზიო რეიტინგში გუნდს ჩასათვლელი ქულები ჯონდო მუზაშვილმაც (81) შეჰმატა.

**ირაკლი თავაძე**

## ბიატლონი

# ნორვეგიელებმა არდადეგები დაიტკბეს

იტალიაში მეექვსე ეტაპის შემდეგ ბიატლონისტებისთვის თითქმის ერთთვიანი შვებულება გამოცხადდა. შემდეგი ეტაპის შვედეთში თებერვლის შუა რიცხვებში გაიმართება. კმაყოფილი მიდის დასასვენებლად ნორვეგიელთა გუნდი. კაცები ლიდერობენ როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ ჩათვლაში. ოლე ბიორნდალენის შთამბეჭდავი გამარჯვებების შემდეგ ეს ნორვეგიელი სპორტსმენი რამდენიმე სტარტის გამოტოვების მიუხედავად სათავეში მოექცა მსოფლიო თასის გათამაშებას. კაცების გუნდი (ესტაფეტა) 136 ქულით აგრეთვე მოწინავე პოზიციაზეა, მეორე ადგილზე არიან გერმანელები (130), მესამეზე რუსები (123). ქალთა გუნდებში ლიდერობენ რუსები, რომელთაც გერმანელები და უკრაინელები მიჰყვებიან.

**საერთო ჩათვლა**

კაცები

| | |
|---|---|
| ოლე ბიორნდალენი (ნორვეგია) | 286 |
| რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | 271 |
| სვენ ფიშერი (გერმანია) | 269 |

ქალები

| | |
|---|---|
| მაგდალენა ფორსბერგი (შვეცია) | 320 |
| ალიონა ზუბრილოვა (უკრაინა) | 245 |
| უში დიზლი (გერმანია) | 219 |

## ჰოკეი

# ამერიკელებიც თამაშობენ

NHL

21 იანვარი

**ანაჰაიმი — კოლორადო 3:3**

1:1 1:2 1:0 0:0

1:0 ტვერდოვსკი 11'56 (5); 1:1 ფორსბერგი 17'52 (8); 2:1 კარია 24'43 (23); 2:2 საკიკი 28'12 (9); 2:3 დრური 38'41 (13); 3:3 სელიანე 58'20 (17)

**კალგარი — ნეშვილი 5:4**

2:1 1:2 1:1 1:0

1:0 ნაზაროვი 5'06 (7); 2:0 ბურე 15'40 (23); 2:1 იაჩმენევი 18'00 (6); 2:2 ბერეჰოვსკი 20'35 (7); 3:2 შანტი 23'06 (6); 3:3 ბერეჰოვსკი 28'37 (8); 3:4 მაუერსი 44'44 (3); 4:4 იგინლა 50'27 (11); 5:4 ბურე 63'06 (24)

**ჩიკაგო — სენტ ლუისი 0:3**

0:1 0:0 0:2

0:1 რეირდენი 3'15 (2); 0:2 დემიტრა 55'37 (19); 0:3 ისტვუდი 59'51 (15)

**ატლანტა — ფლორიდა 3:3**

0:0 1:1 2:2 0:0

0:1 კვაშა 24'23 (4); 1:1 ნდური 30'10 (1); 2:1 კარლსონი 44'47 (3); 2:2 პერიში 47'25 (16); 2:3 ბურე 51'12 (32); 3:3 ტრამბლე 55'46 (5)

**ნიუ ჯერსი — აილენდერსი 4:0**

1:0 2:0 1:0

1:0 ელიაში 1'20 (19); 2:0 ბრილინი 32'12 (7); 3:0 ელიაში 36'49 (20); 4:0 სიკორა 49'41 (15)

22 იანვარი

**კაროლინა — ბუფალო 4:1**

0:0 2:0 2:1

1:0 ფრენსისი 32'44 (13); 2:0 კაპანენი 34'15 (18); 3:0 რობერტსი 47'53 (10); 4:0 რობერტსი 51'13 (11); 4:1 პეკა 58'42 (7)

**მონრეალი — პიტსბურგი 4:2**

0:0 3:1 1:1

1:0 ზუბრუსი 22'42 (10); 1:1 ბრაუნი 25'50 (4); 2:1 პულენი 30'33 (6); 3:1 ზუბრუსი 38'31 (11); 4:1 ეშამი 47'09 (4); 4:2 პრდინა 47'49 (9)

**აილენდერსი — ტამპა 2:0**

1:0 1:0 0:0

1:0 ოჯიკი 7'48 (4); 2:0 იუნსონი 37'45 (9)

**ოტავა — დეტროიტი 2:3**

2:1 0:1 0:1

0:1 ლიდსტრიომი 2'46 (10); 1:1 იორკი 5'43 (4); 2:1 ტრავერსი 6'05 (4); 2:2 ლიდსტრიომი 28'35 (11); 2:3 ვერბიკი 43'22 (12)

**ტორონტო — ვაშინგტონი 5:5**

1:2 3:1 1:2 0:0

0:1 დალინი 4'31 (8); 0:2 საიმონი 6'27 (12); 1:2 კაბერლე 16'47 (6); 1:3 გონჩარი 20'34 (10); 2:3 სუნდინი 30'52 (22); 3:3 ადამსი 37'45 (3); 4:3 კაბერლე 39'24 (7); 4:4 საიმონი 40'54 (13); 5:4 მაკოლი 47'26 (3); 5:5 ზედნიკი 58'18 (13)

**სენტ ლუისი — რეინჯერსი 1:4**

0:2 0:1 1:1

0:1 დვორჟაკი 16'21 (9); 0:2 ჰლავაჩი 19'08 (8); 0:3 ჰლავაჩი 21'37 (9); 1:3 ტარჯონი 53'45 (23); 1:4 ტეილორი 59'30 (8)

**ფლორიდა — ბოსტონი 4:3**

1:0 2:3 0:0 1:0

1:0 უიტნი 16'12 (20); 1:1 მაკსორლი 22'45 (2); 2:1 ბურე 23'47 (33); 2:2 ჰაინცი 24'19 (9); 2:3 უილსონი 24'54 (1); 3:3 პერიში 32'19 (17); 4:3 ბურე 61'31 (34)

**ედმონტონი — ვანკუვერი 3:3**

1:0 1:1 1:2 0:0

1:0 უეიტი 14'15 (9); 2:0 მარჩანტი 20'26 (10); 2:1 ნესლუნდი 38'51 (14); 2:2 კლეტი 42'53 (2); 2:3 კლეტი 54'08 (3); 3:3 მარჩანტი 58'18 (11)

**სან ხოსე — ანაჰაიმი 4:3**

0:1 3:0 1:2

0:1 სელიანე 0'20 (18); 1:1 მატო 29'12 (6); 2:1 შტურმი 33'44 (7); 3:1 გრენატო 38'49 (3); 3:2 კარია 47'36 (24); 3:3 კარია 50'08 (25); 4:3 შტურმი 51'54 (8)

23 იანვარი

**პიტსბურგი — ფილადელფია 4:4**

2:1 0:2 2:1 0:0

1:0 ტიტოვი 0'57 (14); 2:0 ტიტოვი 3'02 (15); 2:1 დეჟარდენი 4'51 (11); 2:2 ბიურო 35'27 (2); 2:3 განი 38'30 (9); 3:3 შლეგრი 46'06 (6); 4:3 ბრაუნი 47'10 (5); 4:4 ლეკლერი 59'00 (26)

**ვანკუვერი — ნეშვილი 1:2**

1:1 0:0 0:1

1:0 კლეტი 7'29 (4); 1:1 ვალიჩევიჩი 14'03 (13); 1:2 იაჩმენევი 41'37 (7)

**ლოს ანჯელესი — კოლორადო 3:2**

3:0 0:1 0:1

1:0 პალფი 8'51 (17); 2:0 მიურეი 10'48 (15); 3:0 შტუმპელი 14'50 (3); 3:1 დედმარში 36'34 (13); 3:2 რედი 46'35 (7)

**ჩიკაგო — დალასი 2:3**

2.1 0:0 0:2

1:0 ნიულანდერი 6'24 (14); 2:0 გილმორო 13'58 (18); 2:1 მოდანო 18'47 (18); 2:2 ლიაშენკო 41'02 (3); 2:3 ლიაშენკო 41'12 (4)

**ფინიქსი — სან ხოსე 3:2**

1:0 1:0 0:2 1:0

1:0 ტოკეტი 9'33 (10); 2:0 დებრიუსკი 25'00 (2); 2:1 ჰარვი 50'26 (5); 2:2 ნოლანი 52'35 (30); 4:3 ლუმე 64'16 (7)


REUTERS ოტავადან

ოტაველმა შონ მაკიჩერნიმ დეტროიტელი დენ დანდენო (11) გააფრინა

„ძალიან სასიამოვნოა, როცა მორიგ საიუბილეო ნიშნულს მიაღწევ, მაგრამ ყველაზე საპატიო ზღვარი, 500 გოლი, ჯერ კიდევ შორსაა, დიდი გზა მაქვს გასავლელი, თუმც 301-ე გოლიც დიდხანს მემახსოვრება" — თქვა ბოსტონთან მოგებული მატჩის შემდეგ ფლორიდის სუპერფორვარდმა პაველ ბურემ, რომელსაც ამ დღეს მართლაც განსაკუთრებული სიხარულის საბაბი ჰქონდა. მისი ორი გოლიდან პირველი კარიერაში მე-300 გამოდგა, ხოლო ოვერტაიმში... თუმც, მოდით, თანმიმდევრობით დავიწყოთ: ამ უქმეებზე ჩატარებულ ორივე მატჩში ფლორიდამ დამატებითი დრო ითამაშა. მოგეხსენებათ, ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში გუნდები 4-4 მოთამაშით ასპარეზობენ. ამიტომაც წლეულს ბურესთანა მაღალი კლასის ოსტატებს თავის გამოჩენის მეტი შანსი აქვთ. პაველს ატლანტასთან შეხვედრაშიც შეეძლო, თავისიანებისთვის გამარჯვება მოეტანა, მაგრამ ორი მომენტი ვერ გამოიყენა. ბოსტონთან კი შეცდომები გამოისყიდა. თუმც, რაოდენ ძლიერი მოთამაშეც უნდა იყოს ბურე, ვილაც ხომ უნდა ეხმარებოდეს. ამ ფუნქციას კი ამ ბოლო ხანებში ერთობ კარგად ასრულებს ვიქტორ კოზლოვი. მეექვსე სეზონია, იგი ლიგაში ასპარეზობს და მხოლოდ წლეულს გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. გოლების უმეტესობა ბურეს მისი პასების შემდეგ გააქვს. ამჯერად კი, როგორც თავად იუბილარის სიტყვებიდან მიხვდით, კოზლოვმა მართლაც დასამახსოვრებელი რამ ჩაიდინა — პარტნიორის 301-ე გოლისას, ოვერტაიმში, მთელი 30 (!) წამის განმავლობაში აკონტროლებდა შაიბას. გვარიანად გაწვალდნენ მეტოქეები მის დევნაში, ბოლოს მრავალნაცადი რეი ბურკიც კი იოლად ჩამოიცილა გზიდან, დაარტყა კიდეც, თუმც მეკარე ბაირონ დაფომ მოიგერია. ამის შემდეგ შაიბას ბურე დაეუფლა და უმალვე კარში გაგზავნა. 34 შაიბით პაველ ბურე პიტსბურგელ იარომირ იაგრს დაეწია.

„მე სულ პაველს ვუყურებდი და ველოდი, როდის გათავისუფლდებოდა" — ასე მორიდებულად ახსნა კოზლოვმა თავისი უიშვიათესი გარღვევა.

საერთოდ, ეს უქმეები ძმები ბურეებისთვის ძალიან ნაყოფიერი გამოდგა. უმცროსმა, ვალერიმ, ნეშვილს ასევე ორი გოლი გაუტანა, თანაც მეორე — ოვერტაიმში (კალგარის დამატებით დროში გამარჯვებები უკვე ტრადიციად იქცა), რომელიც მისთვის კარიერაში მე-100 გახდა.

იაგრმა კი უკვე სამი თამაში გამოტოვა ნეკნების დაზიანების გამო. უჭირს პიტსბურგს უმისოდ. „პინგვინები" ჯერ მონრეალში დამარცხდნენ, შემდეგ კი ლინდროსის გარეშე მოთამაშე ფილადელფიასთან შინ ფრეს დასჯერდნენ. თუმც ამჯერად პიტსბურგი შეტევაში უკეთ გამოიყურებოდა.

დღესდღეობით ჩრდილოამერიკულ პრესას არც იაგრი ახსოვს, არც ბურე ან სხვა დიდი ვარსკვლავი. მიმომხილვები ახლა ნიუჯერსელ პატრიკ ელიაშს ეძღვნება. ჩეხი ფორვარდი ისე ათამაშდა, რომ ბოლო 13 თამაშში ყინულს უქულოდ არ ტოვებს. თანაც 7 პასთან ერთად ამ შუალედში 14 გოლი მიითვალა. დაუდგრომელი პატრიკის მსხვერპლი (2+1) ამჯერად აილენდერსი გახდა.

ერთობ საინტერესო ორთაბრძოლა შედგა სენტ ლუისში, სადაც „ბლუზმენთა" და ბოლო ხანს ჩინებულად მოასპარეზე რეინჯერსის ბედი სლოვაკური და ჩეხური ხაზების დუელმა გადაწყვიტა. რეინჯერსის ჩეხებმა კვლავ იყოჩაღეს. იან ჰლავაჩმა (2 გოლი) და რადეკ დვორჟაკმა გოლები მიითვალეს. თუმც პარტნიორების ყველაზე დიდი ქება პეტერ ნედველმა (3 პასი) დაიმსახურა. რეინჯერსის მეკარე მაიკ რიხტერის თქმით, რაოდენ მშვიდი უნდა იყოს ჰოკეისტი, რომლის გაცვლაზეც ამდენს ლაპარაკობენ, ის კი ასე ჩინებულად თამაშობს. საინტერესოა, რომ ჰლავაჩის პირველი გოლი მსაჯებს ჯერ გამოეპარათ, ეს შაიბა შესვენებაზე ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ ჩათვალეს.

მეკარეთა შორის დაწინაურებულ სამეულს ოთხი შათაუტით სენტლუისელი რომან ტურეკი გაუტოლდა. პარასკევს, რეინჯერსთან თამაშისგან განსხვავებით, სლოვაკს საქმე ნაკლებად ჰქონდა — სულ 11 დარტყმის მოგერიება მოუხდა, ორჯერ კი კარი ძელმა იხსნა. დალასის ახალბედამ, რომან ლიაშენკომ სულ რაღაც 10 წამში იმდენი გაახერხა, რაც მთელი სეზონის განმავლობაში ვერ შეძლო. მართალია, ამ დროში გატანილი მისი ორი გოლი საკლუბო რეკორდი არ გახლდათ, მაგრამ რუსმა იმითაც ისახელა თავი, რომ ამ გამორჩევით გარდატეხა შეიტანა თამაშში.

რომ არ იფიქროთ, ლიგა ევროპელებს დაუპყრიათო, ერთ-ორ ჩრდილოამერიკელზეც მოგახსენებთ. ორკვირიანი უგოლობის შემდეგ გამორჩეულ ფინელ ტეემუ სელიანეს მხარი პოლ კარიამაც აუბა (3+2 ორ თამაშში), თუმც ანაჰაიმმა ორ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა შეიმატა. სანხოსელმა ოუენ ნოლანმა თავის კარიერაში მეექვსედ მიაღწია 30-შაიბიან ზღვარს, ხოლო ნოემბრიდან დეტროიტში მოთამაშე პეტ ვერბიკმა უკვე იმდენი მოასწრო, რომ გუნდის ერთგვარ თილისმად იქცა. იმ 17 თამაშიდან, რომლებშიც პეტმა ქულები მიითვალა, დეტროიტმა 13 მოიგო და ერთიც არ წაუგია. ამჯერად კი მისმა გოლმა გუნდის 5-მატჩიანი წაგება-ფრეების სერია შეწყვიტა.

**სამველ ლარიბიანი**

# პუტინი რასპუტინი არ არის. ძიუდო იცის

მოსკოვში შაბათ-კვირას ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი მოეწყო. რუსთა პრეზიდენტობადაკისრებული ვლადიმირ პუტინი ძველ დროში არა მხოლოდ მზვერავი, არამედ ვარგისი ძიუდოისტიც იყო. უყვარს ეს საქმე და ამიტომაც გამოცხადებულა გახსნაზე. იაპონელთა ერთ-ერთ თავკაცს, წარსულის დიდ მოჭიდავეს, ჰიროტაკა ოკადას მისთვის კიმონო უჩუქნია და წესისამებრაც მისალმებია.



REUTERS მოსკოვიდან



# გეყო!

აგერ, 21 წელიწადია, რიჩი ფილიპსი ბეისბოლის მეიჯორ ლიგის მსაჯთა გილდიას თავკაცობს. დიდი ავტორიტარი კაცი ჩანს და საქმითაც იტყობს, რომ ამ გილდიას თავის ჭკუაზე ატრიალებს. ახლა რალაც რეფორმა წამოუწყია, რითაც ყველაზე სახელიანი მსაჯები ეგებ ქუჩაშიაც დატოვოს. თუმც არც მთლად ასეა საქმე. დრონი მეფობენ და არა მეფენიო. გილდიის 22-კაციანი მთავარი საბჭო მაგრად დადგომია ფილიპსს და გადაყენებასაც უპირებს.



REUTERS მელბურნიდან

# ნუ ტირი, გოგონავ!

*თავისუფალი ხარ! ანა კურნიკოვა ავსტრალიის ღია პირველობას გამოეთიშა. აგე, ზის მელბურნის ცენტრალურ კორტზე და ნუგეშად დედა ალას ჩაჰკონებია. ბევრი განთქმული დაიფერთხა ამ უქმეებზე მელბურნში და ამათ შორის პატარა ანა.*

# მარადონა ლხენაშია

კვლავ ჰავანაშია მარადონაანთ ოჯახი. გუშინწინ იქ მყოფ დიეგოს, მის ცოლ კლაუდია ვილაფანესა და მამა ჩიტოროს, შვილები ჯანინა და დალმა და დიეგოს დედა ტოტა შეემატნენ. მთელი ოჯახობა გამოსულა ჰავანის ახლომდებარე ნარკოლოგიური სანატორიუმის „ლა პრადერას“ პარმალზე და ჟურნალისტებთან დაგეგმილ პრესკონფერენციაში ჩართულა. თავად დიეგოს ჟურნალისტებისთვის სიურპრიზი შეუთავაზებია — ოქროსფრად შეუღებავს თმა. საშინლად არ უხდება ოქროს კულულები. თუმც, გემოვნებით არც არასდროს გამოირჩეოდა. სხვაფრივ, მარადონას ღიად უსაუბრია კოკაინზე და ბოლოს კლაუდია ჩაუპრომწნია, დახეთ, როგორ მიყვარსო.



REUTERS ჰავანიდან





სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli